პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 241 (18483) ხუთშაბათი, 21 ოქტომბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებო! განამტკიცეთ მეცხოველეობის საკვები ბაზა, ყოველმხრივ აამაღლეთ მისი პროდუქტიულობა!

იბრძოლეთ ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის წარმოების გადიდებისათვის!

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან.

მარცვლეულისა და საკვების წარმოების ზრდა, რაიონული აგროსამრეწველო კომპლექსის ეფექტიანობის ამაღლება სასურსათო პროგრამის განხორციელების გადამწყვეტი პირობაა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმზე 1982 წლის 19 ოქტომბერს

ამხანაგებო!

ჩვენი პლენუმის მუშაობა დასასრულს უახლოვდება, და, მაშასადამე, დადგა დრო, შევაჯამოთ მისი ზოგიერთი შედეგი.

სხდომებს შუა შესვენებისას ბიუროს წევრებმა, ჩვენმა სტუმრებმა ერთმანეთს გაუზიარეს შთაბეჭდილებანი და გამოთქვეს ერთსულოვანი აზრი, რომ პლენუმი უაღრესად მრავლისმომცველი გამოგვივიდა, რომ იგი საინტერესო იყო როგორც ფორმით, ისე შინაარსით. მაგრამ სანამ საბოლოოდ შევაფასებდეთ გაწეულ მუშაობას, მინდა მოკლედ განვიმარტოთ, რად დაგვჭირდა ასეთი პლენუმის გამართვა და რა მთავარი მიზანი იდგა მის წინაშე.

როგორც იცით, აქ განვიხილეთ ძირითადად ორი საკითხი — **საქართველოს კომპარტიის ამოცანები მარცვლეულისა და საკვების წარმოების გადიდებაში და ყარდაბნის რაიონის სასურსათო პროგრამა.**

თითქოს არცთუ ისე დიდი ხნის წინათ — მიმდინარე წლის ივნისში — ჩვენ VII პლენუმზე დაწვრილებით და საფუძვლიანად განვიხილეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან სასურსათო პროგრამისა და მისი რეალიზაციის ღონისძიებათა შესახებ, დავსახეთ მოქმედების გეგმა უახლოესი და უფრო შორეული პერსპექტივისათვის, როგორც იტყვიან, ყველაფერი გულდასმით ავწონ-დავწონეთ, ყველაფერი დეტალურად გავიანგარიშეთ, და აი, ზუსტად ოთხი თვის შემდეგ ჩვენს დღის წესრიგში კვლავ დგას საკითხები, რომლებიც სასურსათო პროგრამის გადაჭრასთან არის დაკავშირებული, და ეს, რა თქმა უნდა,

[illegible]

(გაგრძელება მე-2 გვ.)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის წინ

[illegible]

ბ. ფ. ახუნდოვის დაბადების 170 წლისთავის აღსანიშნავად

შეხვედრა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

[illegible]

მარცვლეულისა და საკვების წარმოების ზრდა, რაიონული აგროსამრეწველო კომპლექსის ეფექტიანობის ამაღლება სასურსათო პროგრამის განხორციელების გადამწყვეტი პირობა

(გაგრძელება)

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდის ტემპი გაცილებით უფრო სწრაფია, ვიდრე წინათ შემუშავებულში. ეს ნიშნავს, რომ **სასურსათო პროგრამა, როგორც ეს ჩვენმა VII პლენუმმა მოითხოვა, სულ უფრო მეტად ხდება საერთო-სახალხო საქმე!**

ამასთანავე, მრავლად გვაქვს რეზერვებიც, რომლებიც გაცილებით უფრო აქტიურად უნდა მოვაქციოთ საქმეში.

ერთხელ კიდევ უნდა მოგახსენოთ, ამხანაგებო, რომ რესპუბლიკა ქვლავინდებურად განიცდის დიდ სიძნელეებს ზოგიერთი სასურსათო პროდუქტით უზრუნველყოფის საქმეში. ისინი წარმოიშვა და დაკავშირებულია მთელ რიგ მიზეზებთან, რომელთაგან ბევრი აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, კერძოდ, მაისის პლენუმზე, ამის შესახებ დაწვრილებით არის ნათქვამი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მოხსენებაში.

თავის დროზე ჩვენ შევძელით დროზე მოგვეკიდა ხელი მეცხოველეობის პრობლემებისათვის, თორემ მდგომარეობა ახლა გაცილებით უფრო რთული გვექნებოდა. დარწმუნებული ვარ, ახლანდელი პლენუმიც, როგორც ეს ბიუროს მოხსენების განხილვამ დაადასტურა, გარდატეხის მიჯნა გახდება ჩვენი მარცვლეულის მეურნეობისა და საკვებწარმოებისათვის. ახლა ყველას ესმის, რომ **მარცვლეულის მეურნეობისა და მეცხოველეობის განუვითარებლად შეუძლებელია ნორმალურად ვუძღვებოდეთ საერთოდ სოფლის მეურნეობას.** და არა მარტო სოფლისას — მთელ ჩვენს სახალხო მეურნეობას!

ასევე დგას ლობიოს პრობლემა. მოხსენებაში პირველ საკითხზე უკვე აღვნიშნეთ, რომ უახლოეს წლებში ლობიოს წარმოება საქართველოში უნდა გავადიდოთ 15-20 ათას ტონამდე. ეს დიდი წვლილი იქნება რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში.

როგორღაც ისე მოხდა, რომ ჩვენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა დარგი თითქოსდა დავყავით მაპროფილებელ და არამაპროფილებელ დარგებად, თანაც ისეთები, როგორიც არის, მაგალითად, მეცხოველეობა, რატომღაც არამაპროფილებელ დარგებს მივაკუთვნეთ. გამოგიტყდებით, არც მე ვარ უცოდველი, და ახლა გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ეს პოზიცია ძირფესვიანად მცდარია.

ჩვენს მუშაობას ვერ წარვმართავთ ამ პრინციპით. რაკი სერიოზული სიძნელენი წამოგვეჭრა მეცხოველეობის პროდუქტების უზრუნველყოფაში, ჩვენ ახლა გვმართებს მტკიცედ, თანამიმდევრულად გადავჭრათ ამ უმნიშვნელოვანესი დარგის პრობლემები, ნიადაგ ვიქონიოთ ისინი ჩვენი პარტიული ორგანიზაციის თვალთახედვის არეში. სხვა გამოსავალი არა გვაქვს. ანდა, რა საფუძველზე შეგვიძლია არ შევიტანოთ მაპროფილებელ დარგებში ჩვენი მარცვლეულის მეურნეობა, ჩვენი საკვებწარმოება, რესპუბლიკის მეცხოველეობა, რომლებსაც ყოველი ჩვენგანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს?

ეს ყალბი კონცეფციაა, ეს პრინციპულად მცდარი პოზიციაა. შესაძლოა, საერთო-საკავშირო წარმოებაში ამ დარგების წილი უმნიშვნელოც იყოს მეციტრუსეობასთან, მეჩაიეობასთან, მეხილეობასთან, მევენახეობასთან, მებოსტნეობასთან შედარებით და სხვ. მაგრამ საერთო-საკავშირო სპეციალიზაციით ხომ გათვალისწინებულია, რომ **საქართველოს სს რესპუბლიკა დამოუკიდებლად აკმაყოფილებს მეცხოველეობის პროდუქტებზე თავისი მოთხოვნილების მნიშვნელოვან ნაწილს**, და, უდავოა, ამ მიმართულებით მუშაობა ასევე ნაწილია საერთო-საკავშირო შრომის დანაწილებაში ჩვენი მონაწილეობისა.

ამ პრობლემებისადმი სხვანაირი მიდგომა საფუძველშივე მცდარია, ჩვენ კი ვუდგებოდით, თანაც მრავალი წლის მანძილზე. ამ კონცეფციას ათობით წლის განმავლობაში ვადექით. ახლა დადგა დრო, მტკიცედ და საბოლოოდ ვთქვათ მასზე უარი. მოხსენებაში უკვე აღინიშნა, და მეც ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გავიმეორო, რომ **ჩვენ გვმართებს იმდენად გავზარდოთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, რომ ძირეულად გაუმჯობესდეს ამ პროდუქტებზე, უწინარეს ყოვლისა კი ხორცზე, მოსახლეობის მოთხოვნილების უზრუნველყოფა.** პლენუმის პრეზიდიუმში შემოვიდა მრავალი წერილი ამ პრობლემაზე. ბევრი ამხანაგი შეეხო თავის გამოსვლაში, კერძოდ საკმაოდ მწვავედ ილაპარაკა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. გ. ე. ჩიგოგიძემ, საჭიროა გამოვნახოთ ამ პრობლემის გადაწყვეტის ოპტიმალური გზა.

მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნა ძირითად სახეობათა სურსათზე საკუთარი წარმოების ბაზის მეოხებით — ასეთია ჩვენი საქმიანობის ძირითადი ამოცანა — ძირითადი მიმართულება. და ჩვენი მეფრინველეების გამოცდილება დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ამ ამოცანის ხორცშესხმა სავსებით ძალგვიძს, რომ ამ მიზნის მიღწევა შეგვიძლია. მე მხედველობაში მაქვს კვერცხის წარმოება, რომელიც შეგვიძლია მივაკუთვნოთ სასურსათო პროგრამის იმ პრობლემებს, უკვე წარმატებით რომ წყდება. ამ პოზიციის მიხედვით ჩვენ პრაქტიკულად უკვე უარი ვთქვით დოტაციაზე საკავშირო ფონდიდან. ეს უდიდესი მიღწევაა, ეს არის მეფრინველეობის ფაბრიკების კოლექტივების, ყველა ჩვენი სოფლის მშრომელის, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების თვალსაჩინო წარმატება.

დროა, ანალოგიური ამოცანა დავუსახოთ სხვა დარგების მშრომელებსაც. უწინარეს ყოვლისა, მეკარტოფილეებს. ჩვენ მივესალმებით პარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. გ. ს. შუღაროვის წინადადებას აქ, პლენუმზე. ამ რაიონს, ისევე როგორც ბოგდანოვკის, წალკის რაიონებს, ყველა საფუძველი აქვთ დაისახონ ამოცანა, რომ უახლოეს ხანს ერთიორად გაზარდონ კარტოფილის წარმოება. უკვე უახლოეს წლებშივე უნდა მივაღწიოთ კარტოფილზე რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილების სრულ უზრუნველყოფას საკუთარი წარმოების ხარჯზე, ბუნებრივია, აქ იგულისხმება სასურსათო საჭიროებებისათვის განკუთვნილი კარტოფილი, რაც შეეხება სათესლეს, ეს უკვე სხვა საკითხია, და მის შესახებ ცალკე გვექნება სჯა-ბაასი.

სხვათა შორის, მეტი წილი რაიონების სასურსათო პროგრამების მაგალითით კარგად ჩანს მისწრაფება მთლიანად უზრუნველყონ საკუთარი მოთხოვნილება ძირითად კვების პროდუქტებზე. ასეთი მიდგომა თანამიმდევრულად და მიზანმიმართულად უნდა განვავითაროთ მთლიანად რესპუბლიკაში. სწორედ ამ მიზნით გადავწყვიტეთ რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დონეზე განგვეხილა რაიონული სასურსათო პროგრამების შედგენა-რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები.

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, კიდევაც რომ შევასრულოთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების უაღრესად დაძაბული ამოცანები, ხუთწლედის დამლევისათვის, დიდი-დიდი შევინარჩუნოთ რესპუბლიკაში ერთ სულ მოსახლეზე ხორცისა და რძის მოხმარების მიღწეული დონე, იგი კი, როგორც კარგად მოგეხსენებათ ერთობ დაბალია. არ შეიძლება ყოველივე ამან არ გამოიწვიოს სერიოზული შეშფოთება. **აი, რატომ არის, რომ ჩვენ დაბეჯითებით მოვითხოვთ სრულად იქნეს გამოყენებული თუნდაც ყველაზე მინიმალური შესაძლებლობანი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.** ამ მიზანს უნდა ექვემდებარებოდეს ყველა რაიონის, ქალაქის, სამინისტროსა და უწყების, საწარმოსა და ორგანიზაციის სასურსათო პროგრამები, საოჯახო სასურსათო პროგრამები, რომელთა შესახებ ჩვენ ასევე პირველად არ ვლაპარაკობთ.

ასეთ სიტუაციაში ყოვლად დაუშვებელია, რომ ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის რაიონები, რომლებიც ცუდად ითვალისწინებენ და იყენებენ თავიანთ შესაძლებლობებს ამ საქმეში, ის კი არა, თმობენ კიდეც უკვე მოპოვებულ პოზიციებს. მაგალითად, წითელწყაროს რაიონის სასურსათო პროგრამით ნავარაუდევი იყო რძის წარმოება ხუთწლედის დამლევისათვის 1980 წელთან შედარებით შემცირებული იყო 1400 ტონით. ბუნებრივია, რომ ეს და მისი მსგავსი პროგრამები ჩვენ უკან დავაბრუნეთ დასახვეწად.

და, რაღა თქმა უნდა, ყოვლად შეუწყნარებელია, როცა კორექტირების შემდეგაც კი კლებულობს, მაგალითად, ხორცის წარმოების მოცულობა ამბროლაურის, კასპის, ცაგერის, ქარელისა და ზოგიერთ სხვა რაიონში. მიღწეულ დონეზე დაბლა გეგმავენ რძის წარმოებას თიანეთისა და ცაგერის რაიონები. ზოგიერთ რაიონში ისწრაფვიან შეამცირონ პირუტყვის სულადობა ისე, რომ არ აპირებენ მის ანაზღაურებას პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებით და ა. შ.

სამწუხაროდ, იძულებული ვართ ვაღიაროთ ისიც, რომ ჯერ კიდევ ყველას და ყველგან არ შეუგნიათ ჩვენი ახლანდელი ღონისძიებების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობა, რომ ჯერ კიდევ არიან ამხანაგები, რომლებიც სასურსათო პროგრამას მხოლოდ და მხოლოდ მუშტრის თვალით უყურებენ. ვფიქრობ, ამ პლენუმზე ჩვენ მკაცრად უნდა დავგმოთ ამ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქმისადმი ასეთი, მე ვიტყოდი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება.

ჩემი გამოსვლის დასაწყისში უკვე მოვიხსენიე მოკლედ ის წვლილი, რომელიც სასურსათო პროგრამაში შეაქვს ზოგიერთ არასასოფლო-სამეურნეო სამინისტროსა და უწყებას, საწარმოსა და ორგანიზაციას. ახლა შევეცდები კონკრეტული ციფრებით ცხადვყო ეს მდგომარეობა.

ოპერატიული მონაცემებით, რესპუბლიკაში არის 561 დამხმარე მეურნეობა, რომლებსაც უკავიათ 27 ათას ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, აქედან დაახლოებით 15 ათასი ჰექტარი — სახნავი. გასულ წელს მათ აწარმოეს დაახლოებით 3.300 ტონა ხორცი, 3.100 ტონაზე მეტი რძე, სხვა პროდუქტები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს არაერთგზის გამოუთქვამს თავისი მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ რა პრინციპებით უნდა იქმნებოდეს საწარმო-ორგანიზაციათა დამხმარე მეურნეობანი მაგრამ ყველა ეს საკითხი ჯერჯერობით, ერთობ ნელა წყდება. ბევრი საწარმოს ხელმძღვანელები მოელიან, როდის გამოუყოფენ მათ სარწყავ სავარგულებს ანდა გადასცემენ მოქმედ საბჭოთა მეურნეობებს, გვთხოვენ ყველაფერს — პირუტყვსაც, კარგ მიწებსაც, კონცენტრირებულ საკვებსაც.

ჩვენ ერთხელ კიდევ შევახსენებთ, ამხანაგებო, რომ დამხმარე მეურნეობათა შესაქმნელად ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სავარგულები არ გამოიყოფა. დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებშიც კი სახკომსაბჭოს სპეციალური დადგენილებით სამრეწველო საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და ჯარის ნაწილებს უფლება ეძლეოდათ დროებით ეწარმოებინათ თესვა მხოლოდ კოლმეურნეობათა გამოუყენებელ მიწებზე, ისიც ამ კოლმეურნეობათა თანხმობით.

ცენტრალური კომიტეტი კვლავ ურჩევს იმ საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, რომლებიც დამხმარე მეურნეობების შექმნას აპირებენ, მიბაძონ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ზოგიერთი სხვა კოლექტივის მაგალითს, და ორიენტირად აიღონ მიტოვებული მთის სოფლების აღორძინება. ჩვენს მთებში ათასზე მეტი მიტოვებული სოფელია. შეიძლებოდა აგრეთვე განგვეხილა საკითხი დამხმარე მეურნეობებისათვის იმ აუთვისებელი მიწებისა და ფართობების ნაწილის გადაცემის შესახებ, რომლებიც კოლექტიური მებაღეობის გასავითარებლად არის გამოყოფილი.

სხვათა შორის, ბევრი ამხანაგი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ გვჭირდება ორგანო, რომელიც საგანგებოდ გაუძღვება დამხმარე მეურნეობათა შექმნა-განვითარებას, კოორდინაციას გაუწევს ამ მუშაობას, განახორციელებს მეთოდიკურ ხელმძღვანელობას. ეს სფეროც უნდა ვმართოთ, და ჩვენ ვთხოვთ აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების მართვის რესპუბლიკურ საკოორდინაციო საბჭოს, მის თავმჯდომარეს ამხ. ო. გ. ჟორჟოლიანს შემოიტანონ წინადადებანი ამ საკითხზე.

ყოველნაირად უნდა ვიღვაწოთ მიგდებული მიწების რაციონალური გამოყენებისათვის. ხშირად დასახლებული პუნქტების მახლობლადაც კი, ანდა, ვთქვათ, რკინიგზების გასხვისების ზოლში შეხვდებით ნაკვეთებს, რომლებიც მხოლოდ იმიტომ არ გამოიყენება, რომ ისინი მცირეკონტურიანია, ჯანნარით არის დაფარული ანდა დაჭაობებულია, საკმარისია განხორციელდეს მცირეოდენი კულტურტექნიკური ღონისძიებები, როგორც ამას, მაგალითად, საგარეჯოს რაიონში აკეთებენ, და, ინებეთ, ბრუნვაშია მოქცეული დამატებითი ასობით ჰექტარი ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

მახსოვს, ჩვენ ეს კამპანია ჯერ კიდევ 1978 წელს დავიწყეთ, განვახორციელეთ მიგდებული მიწების პასპორტიზაცია. მაშინ გამოვლინდა 84 ათას ჰექტარზე მეტი ასეთი მიწები. შევადგინეთ პროგრამა, ის კი არა, 65 ათასი ჰექტარის ათვისების ანგარიშებიც კი მივიღეთ. მაგრამ, ჩვენი აზრით, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მრავლად არის მიგდებული მიწები, და ეს ჩვენი ერთ-ერთი რეალური რეზერვია.

ამრიგად, ამხანაგებო, გარდაბნის პროგრამა, როგორც იტყვიან, ბევრ რამეზე დაგვაფიქრებს. მეტადრე ახლა, როცა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შეიმუშავა და რესპუბლიკას გამოუგზავნა სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და საერთო-საკავშირო ფონდში მიწოდების საკონტროლო ციფრები, განსაზღვრა 1990 წლამდე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გამოყოფის მასშტაბი. ეს ციფრები უკვე დაეგზავნათ რაიონებსა და ქალაქებს, ასე რომ, ჩვენს ადგილობრივ პარტიულ-სამეურნეო აქტივს შესაძლებლობა აქვს მოკლე ვადაში დახვეწოს თავისი სასურსათო პროგრამები საკონტროლო ციფრების გათვალისწინებით და წარუდგინოს ისინი რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სხვა სადირექტივო ორგანოებს. გარდაბნელი ამხანაგების გამოცდილება გარკვეულწილად ეტალონად უნდა გამოადგეს ბევრ რაიონს.

მთელ ამ სამუშაოს ამთავითვე, ბუნებრივია, ჩვენი პლენუმის მოთხოვნების გათვალისწინებით, სათავეში უნდა ჩაუდგეს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათშორისო საკოორდინაციო საბჭო საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სხვა დაინტერესებულ უწყება-სამინისტროებთან ერთად. საქართველოს სსრ 1985-1990 წლების სასურსათო პროგრამის საბოლოო ვარიანტი უმაღლესი საბჭოს სესიაზე უნდა დავამტკიცოთ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმასთან ერთად.

II.

გარდაბნელი ამხანაგების გამოცდილების გულმოდგინე შესწავლა გვიჩვენებს, რომ მათ მიერ შედგენილ დაძაბულ სასურსათო პროგრამას საფუძვლად უდევს სამი ფუძემდებელი ფაქტორი — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა აქტიური გამოყენება, აგროსამრეწველო გაერთიანების ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა და მართვის პროგრესული მეთოდების დანერგვა. კაცმა რომ თქვას, სწორედ ეს გახლავთ, ის ძირითადი მოთხოვნები, რომლებსაც დღეს ვუყენებთ მთლიანად ჩვენს სახალხო მეურნეობას, ყველა მის სფეროს და რომლებიც ორგანულად გამომდინარეობს პარტიის XXVI ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ დასახული მითითებიდან იმის თაობაზე, რომ საჭიროა „დავამთავროთ გადასვლა უპირატესად განვითარების ინტენსიურ გზაზე".

გარდაბნის რაიონის სასურსათო პროგრამა — ამავე დროს მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების საყოველთაო ფართო დანერგვის პროგრამაც არის.

ჩვენ დიდად ვაფასებთ რაიონისა და სასოფლო-სამეურნეო პროფილის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების, ჩვენი აკადემიური ინსტიტუტების მეცადინეობას, რომლის მიზანია ხელი შეუწყონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის და პირუტყვის პროდუქტიულობის მკვეთრ ზრდას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას, მოვლა-მოყვანის, დამზადების, ტრანსპორტირების დროს მათი დანაკარგების შემცირებას და სხვ.

მოწონებისა და განზოგადების ღირსია თვით ამ საქმის ორგანიზაციის სისტემა, კომპლექსური პროგრამის განხორციელების სპეციალური საკოორდინაციო საბჭოს შექმნა, რომლის შემადგენლობაში ჩამოყალიბებულია 14 სექცია. კარგია ისიც, რომ ამ პროგრამის შესაბამისად კონკრეტული გეგმები შემუშავდა ყველა მეურნეობისა და საწარმოს მიხედვით.

როგორც უკვე აღინიშნა, რაიონში დანერგილია ასამდე ფრიად საგულისხმო მეცნიერული ნამუშევარი და რეკომენდაცია, ახალი და ადგილობრივ პირობებს მომარჯვებული მანქანა-მოწყობილობის ნიმუშები, მეთოდები და ხერხები, რომლებიც ხელს უწყობენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლებას, ბევრი სხვა რამ. და ახლა ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ეს ნამუშევრები, ეს გამოცდილება მარტოოდენ გარდაბნელი ამხანაგებით არ შემოიფარგლოს.

თხევადაზოტიანი სასუქების გამოყენებით სამარცვლე სიმინდის თესვა-მოყვანის ინდუსტრიული მეთოდებიც, „კოლჯესია" და „ლებედინსკის" ჯიშების პამიდვრის მოვლა-მოყვანაც, ელექტრომაგნიტურ ველში ბოსტნეულის სათესლე მასალის დამუშავებაც, სართიჭალის კომპლექსში რძის წარმოების სამქრონაკადური ტექნოლოგიაც და ბევრი სხვა რამ შეიძლება გახდეს და უნდა გახდეს კიდეც რესპუბლიკის მრავალი მეურნეობისა და რაიონის კუთვნილება.

ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საინტერესოა ეროზიასთან ბრძოლის პროგრესული მეთოდები, რომლებიც წარმატებით ინერგება რაიონში მიწათმოქმედებისა და ნიადაგთმცოდნეობის ინსტიტუტების აქტიური ხელშეწყობით. ცნობილია, რამდენ დიდ ზარალს აყენებს საქართველოს სოფლის მეურნეობას ნიადაგების წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზია, რომელიც ჩვენში აზიანებს 310 ჰექტარზე მეტ სახნავს, ანუ მისი საერთო ფართობის 46 პროცენტს. დადგენილია, რომ ამ მიწებზე მარცვლოვანთა მოსავლიანობა კლებულობს 25-50 პროცენტით.

პირველი საკითხისადმი მიძღვნილ მოხსენებაში ჩვენ უკვე ხაზგასმით აღვნიშნეთ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიწათმოქმედების კულტურის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის ეროზიასაწინააღმდეგო და სხვა ღონისძიებების ფართო დანერგვას.

აღვნიშნეთ აგრეთვე ბელტის გადაუბრუნებლად ნიადაგის დამუშავების სისტემის გამოყენების საჭიროებაც. კერძოდ, კარგ ეფექტს იძლევა ნიადაგის დამუშავების ბრტყელადსაჭრელი სისტემა, რომელიც ბელტს არ აბრუნებს. ამისათვის აუცილებელია სპეციალური ტექნიკის მთელი კომპლექტი, რაც ჩვენ ვნახეთ კიდეც გარდაბნის რაიონში. მაგალითად, ჯანდარის საბჭოთა მეურნეობაში ბრტყელადსაჭრელებით დამუშავებულ მინდორში საშემოდგომო ხორბლის საშუალო ჰექტარობრივმა მოსავალმა თითქმის 30 ცენტნერს მიაღწია, ჩვეულებრივად დამუშავებულ მინდორში კი ოთხ ცენტნერს ძლივს გადააჭარბა.

მარტო ეროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელების გზით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას შეუძლია დამატებით აწარმოოს დაახლოებით 100 ათასი ტონა მარცვლეული. რესპუბლიკურმა ორგანოებმა, უწინარესად სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქსახსოფლტექნიკამ უნდა გაითვალისწინონ, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ახლა მარცვლეულის მეურნეობის აღმავლობას, და **უმოკლეს ვადაში შეიმუშაონ ღონისძიებები გარდაბნელთა გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის, შეაიარაღონ რესპუბლიკის შესაბამისი მეურნეობანი პროგრესული აგროტექნიკით და უზრუნველყონ ისინი სპეციალური ტექნიკური საშუალებებით.**

ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელების მდიდარი გამოცდილებაა შექმნილი ყაზახეთის სს რესპუბლიკაში. მე მომიხდა მისი გაცნობა — ეს მთელი სისტემაა, რომელიც მთელ რესპუბლიკაში მოქმედებს. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე წლის წინათ იქ მძიმე მდგომარეობა იყო მეცნიერული მეთოდების დანერგვის, სერიოზულ ღონისძიებათა განხორციელების წყალობით, როგორც ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დონეზე, ისე ყველა სხვა დონეზე, ცალკეული ბრიგადებისა და რგოლების ჩათვლით მოხერხდა არა მარტო ამ პროცესების შეჩერება, არამედ მიწის ნაყოფიერების მკვეთრი გადიდების მიღწევაც.

ვფიქრობ, ჩვენთვის აზრი აქვს შევქმნათ სოლიდური დელეგაცია და გავგზავნოთ იგი ყაზახ ამხანაგების გამოცდილების შესასწავლად. უნდა გვახსოვდეს მითითება, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევმა მოგვცა მაისის პლენუმზე: ყოველივე ის, რაც გუშინ გვაკმაყოფილებდა, უკვე აშკარად აღარ არის საკმარისი ხვალ და დღესაც კი. აი, სწორედ ამით უნდა იხელმძღვანელოს მეცნიერებამ, ხაზი გაუსვა ლეონიდ ილიას ძემ.

რაიონის წინაშე ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა დგას, და ჩვენს მეცნიერთა ვალია არ მოაკლონ მას მხარდაჭერა და დახმარება ამ პრობლემების გადაჭრაში, მით უმეტეს, რომ სასურსათო პროგრამით გათვალისწინებულ მაღალ მიჯნებს ასევე მაღალი მეცნიერულ-ტექნიკური უზრუნველყოფა სჭირდება. უწინარეს ყოვლისა, უნდა მივაღწიოთ საბოლოო შედეგების სტაბილურობას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში.

მაგალითად, ამხანაგებმა თქვეს, რომ განზრახული აქვთ მიიღონ საპროექტო მოსავალი სარწყავ მიწებზე. რა თქმა უნდა, ეს საკითხის სწორი და დროული დაყენებაა. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამოცანა უფრო ფართოდ უნდა დავაყენოთ: პროგრესული მეცნიერული რეკომენდაციების გამოყენების, მეცნიერული მეთოდების დანერგვის გზით მივაღწიოთ უხვი გარანტირებული მოსავლის მოყვანას ურწყავ მიწებზეც.

სამყოფად ექნებათ სამუშაო აგრეთვე ჩვენს ეკონომისტ მეცნიერებს, შრომის ორგანიზაციის სპეციალისტებს. მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ურთიერთობის პროცესი ხომ ნიადაგ უნდა იხვეწებოდეს, მდიდრდებოდეს, იძენდეს სულ უფრო საქმიან, გეგმიან საფუძველს. ჯერჯერობით კი, ნამუშევრების დანერგვისას მოპოვებული სერიოზული წარმატებებისა და მიღწევების მიუხედავად, ამ პროცესს აშკარად აკლია გეგმიანობა, მიზანსწრაფვა, კონკრეტულობა. ჯერ კიდევ ბევრი რამ კეთდება ცარიელა ენთუზიაზმის წყალობით, ზოგჯერ პარტიული ორგანოების მხრივ ნებისმიერ გადაწყვეტილებათა შედეგად.

მაგალითად, ჩვენმა ამხანაგებმა რაიონის იმ მეურნეობებში ყოფნისას, სადაც სიახლენი ინერგებოდა, აღმოაჩინეს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ვერც ერთი ღონისძიება ვერ აისახა სამრეწველო-საფინანსო გეგმაში, თუმცა აქ არის შესაბამისი გრაფა. მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ შეუძლებელია სწორად განისაზღვროს მატერიალური ბაზა, რომელიც აუცილებელია დანერგვის განხორციელებისთვის, განისჯება ნამუშევრის საბოლოო ეკონომიკური ეფექტიანობა. თანაც, ამ შემთხვევაში თვით დანერგვის პროცესისათვის მეურნეობებში არსებითად არავინ აგებს პასუხს, არავის არ აკისრია პერსონალური პასუხისმგებლობა.

ეტყობა, საჭირო ყოფილა კიდევ ერთხელ შევახსენოთ ამხანაგებს, **რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის ღონისძიებები აგერ უკვე ორი წელია ითვლება სახალხო-სამეურნეო გეგმის სავალდებულო მაჩვენებლებად.** და ეს არც არის გასაკვირი: მათგან მიღებული მოგება ხომ ზოგჯერ მრავალგზის აღემატება დიდ კაპიტალურ დანახარჯებს.

გარდაბნის რაიონში ეს კარგად ესმით. მაგალითად, ქიმიურ-თერაპიული და ბიოლოგიური პრეპარატების ექსპერიმენტული ქარხნის იმ ზოგიერთი სახეობის პროდუქციის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა, რომელიც საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევით ინსტიტუტშია შემუშავებული, დღეს 11 მილიონ მანეთს სჭარბობს. შემჭიდროებულ ვადებში, დამკვრელური ტემპით უნდა ავაშენოთ ქარხანა, რომლის შესახებ ილაპარაკა აქ ზოოვეტინსტიტუტის რექტორმა ამხ. გ. დ. აგლაძემ.

წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდი პოტენციური შესაძლებლობანი მოგვეცემოდა, მიზანდასახულად რომ ვიყენებდეთ პარტნიორობის მეთოდს, რომლის შესახებაც დაწვრილებით სჯა-ბაასი გვქონდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე. მინდა კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი, რომ სოფლის მეურნეობის მეცნიერებასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩვენ ჰაერივით გვჭირდება პარტნიორობის ახალი საინტერესო ფორმები. ამას მარტოოდენ ორმხრივი სარგებლობა როდი მოაქვს — მოგებული რჩება მთლიანად სახელმწიფო. ამაზე დამაჯერებლად ილაპარაკა პარტიის ხობის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ო. ნადარაიამ.

ჩვენ კმაყოფილებით შევიტყვეთ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI და VII პლენუმების გადაწყვეტილებანი მოქმედების უშუალო სახელმძღვანელოდ აღიქვეს მიწათმოქმედების ინსტიტუტის კოლექტივმა და ხობის რაიონის

[illegible]

[illegible]

(გაგრძელება მე-4 გვ.)

მარცვლეულისა და საკვების წარმოების ზრდა, რაიონული აგროსამრეწველო კომპლექსის ეფექტიანობის ამაღლება სასურსათო პროგრამის განხორციელების გადამწყვეტი პირობაა

(გაგრძელება)

ხშირად თვით გაერთიანებებიც არ იჩენენ ჯეროვან პრინციპულობას. მათი მუშაობის სტილსა და მეთოდებს ბევრი რამ შემორჩა წინანდელი ორგანოების — რაიონული სოფლის მეურნეობის სამმართველოებისა. მოდით, ვაღიაროთ ეს გულახდილად. მე მხედველობაში მაქვს ისეთი თვისებები, როგორიც არის ინერტულობა, მოუქნელობა მწვავე საკითხთა გადაწყვეტისას, ჩაურევლობის პოზიცია.

რაიონულ გაერთიანებათა ბევრ მუშაკს დღემდე ვერ შეუგნია, რომ **ეს არის სოფლის მეურნეობისა და მისი მომიჯნავე დარგების შრომის ორგანიზაციის პრინციპულად ახალი ფორმა, რომ ეს არის ახალი ნაბიჯი სოციალისტური სოფლის საწარმოო ძალების განვითარების გზაზე.** არიან გაერთიანებათა ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც თავიანთ ფუნქციებს ზღუდავენ მხოლოდ იმისადმი კონტროლით, თუ რომელმა ორგანიზაციამ რა თანხა შეიტანა ცენტრალიზებულ ფონდში. რაც შეეხება მთავარს — ვინ და რამდენი პროდუქცია შექმნა, ეს მათ თითქოს არც ეხება.

ჩვენ ამ სისტემას ფორმის გულისთვის კი არ ვნერგავდით, არამედ იგი მიგვაჩნდა ნამდვილად უდიდეს ძალად, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს დავაინტერესოთ აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი ყველა პარტნიორი. ამავე დროს გაერთიანებანი ზოგჯერ უძლური არიან გადაწყვიტონ ყველაზე ელემენტარული საკითხი. მაგალითად, ჩვენ დიდი რეკლამა გავუწიეთ გარდაბნის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის სპეციალური განყოფილების შექმნას. მაგრამ თურმე ნუ იტყვით, უკვე თითქმის მთელი წელია კაცი ვერ უპოვიათ, განყოფილების უფროსის თანამდებობაზე რომ დანიშნონ! თურმე მეცნიერები არ თანხმდებიან მცირე ხელფასის გამო, არაკომპეტენტური ხელმძღვანელი კი თავად გაერთიანებას არ უნდა. ასე რომ, ვერავის ვერ მიუღია საჭირო გადაწყვეტილება — ვერც თვით გაერთიანებას, ვერც რაიკომს, ვერც ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, ვერც ფინანსთა სამინისტროს და ვერც თვით აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის საბჭოს. არადა, იყო დრო, როცა ჩვენ აბაშაში, ფოთში მართვის მთელი აპარატი შევქმენით, და ეს გამოგვივიდა. მაშასადამე, ახლა მხოლოდ და მხოლოდ ინერტულობა გვაბრკოლებს. ნუთუ მართლა არ შეიძლებოდა, გამონაკლისის სახით, ცდის წესით პერსონალური სარგო შემოგვეღო? ნუთუ ამასაც ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ან ბიუროს მითითება სჭირდება?

ზოგიერთი ჩვენი ხელმძღვანელი დღემდე ვერ გარკვეულა, რას ნიშნავს შეეჭიდო ნამდვილად ახალ საქმეს, და უმცირესი წინააღმდეგობის გზას ადგას. საჭიროა უფრო თამამად ვეძებოთ გადაწყვეტები, როცა ამას სახელმწიფო ინტერესები მოითხოვს. თამამად ვეძებოთ და ვიპოვოთ ისინი. რაც შეეხება ურთიერთდამოკიდებულების საკითხს, მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ერთ არსებითს ნაკლს, რომელიც ახასიათებს როგორც გარდაბნის, ისე მეტი წილი სხვა რაიონების სასურსათო პროგრამებს, — ისინი ოდნავადაც არ არის განმტკიცებული რესპუბლიკის უწყება-სამინისტროებთან ერთად განსახორციელებელი ორმხრივი ან მრავალმხრივი ღონისძიებებით. ეს კი, ამხანაგებო, სრულიად პრინციპული საკითხია — ამთავითვე ხომ აშკარაა, რომ უამისოდ ბევრი რამ ქაღალდზე დარჩება. ვთქვათ, გარდაბნელები ითვალისწინებენ მკვეთრად გაზარდონ ძროხის სულადობა საზოგადოებრივ მეურნეობებში, ამ დროს კი ახლა მოულოდნელად გამოირკვა, რომ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს არ ჰქონია შესაბამისი კაპიტალური დაბანდებანი პირუტყვის სადგომების რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის. ანდა, განა, სამინისტრომ წინასწარ არ უნდა მოიფიქროს, მაგალითად, როგორ უზრუნველყოს რაიონებში მკვეთრად მზარდი სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაცია თბილისსა და რუსთავში და ა. შ.?

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ **ჩვენ კვლავაც გვმართებს თანამიმდევრულად, მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე სრულვყოთ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სისტემა როგორც რაიონული რგოლის, ისე მთელი რესპუბლიკის დონეზე.** გარდაბნის რაიონის სასურსათო პროგრამა თავიდანვე რომ შეემუშავებინათ ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებათა პრინციპებით, მაშინ დღეს სასაყვედურო გაცილებით ნაკლები გვექნებოდა. ეს ხომ დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვისა და მართვის შეხამების ერთ-ერთი ქმედითი ფორმაა და, მე ვფიქრობ, მისი განხორციელება საჭიროა აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს დონეზე.

გარდაბნის რაიონის აქტივთან შეხვედრაზე აღიძრა საკითხი იმის შესახებაც, რომ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, რომელსაც ექვემდებარება ამჟამად რაიონული გაერთიანება, საერთოდ არ გააჩნია სამისო შესაძლებლობანი, რომ კვალიფიციურად წარმართავდეს მის მუშაობას. ამასთან დაკავშირებით საჭირო ხდება ერთხელ კიდევ გადაისინჯოს ჩვენი აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სისტემა და დაზუსტდეს მთელი რიგი რესპუბლიკური ორგანოების უფლებები და ფუნქციები, ვინაიდან აქ ხშირია ხოლმე გაუგებრობა, ტყდება დავა, შეიმჩნევა გარკვეული პარალელიზმი მუშაობაში.

დავიწყოთ იმით, რომ საერთოდ არავითარი დავა არ უნდა წამოიჭრას ხოლმე აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების მართვის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს უფლებებთან დაკავშირებით. საბჭო რესპუბლიკაში წარმოადგენს აგროსამრეწველო კომპლექსის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს და მას ეკუთვნის განმსაზღვრელი სიტყვა ცალკეულ სამინისტროებსა და უწყებებს შორის ყველა სადავო საკითხისა და პრობლემის გადაჭრის დროს. შემთხვევითი როდია, რომ მას სათავეში უდგას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

საბჭოს ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების მართვის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა მოიწონა. საბჭოს სხდომებზე განხილულ უნდა იქნეს არა უბრალოდ ინფორმაცია გაერთიანების მონაწილეთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, არამედ ღრმად არგუმენტირებული წინადადებანი ყველა ორგანიზაციის ინტერესების დაახლოების, იმ გზებისა და საშუალებების შესახებ, თუ როგორ წარვმართოთ მათი მეცადინეობა საუკეთესო საბოლოო შედეგების მისაღწევად.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების უშუალო ხელმძღვანელობას კი უნდა ახორციელებდეს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ეს საჭიროა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ერთიანი პოლიტიკა სოფლად, პოლიტიკა, რომლის მიზანია მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევა, ანუ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მაქსიმალური გადიდება. ამიტომ სწორი იქნება, თუ ყველა რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას თავს მოვუყრით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში, ხოლო ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს სპეციალიზებული მეურნეობანი ორმაგ დაქვემდებარებაში დარჩებიან.

გაერთიანებათა მართვისათვის ხომ საჭიროა სპეციალური სამსახურები, სამმართველოები და ა. შ. ხომ ვერ შევქმნით ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროში მინიატიურულ სოფლის მეურნეობის სამინისტროს. გარდა ამისა, ჩვენ ამ გზით ვცდილობთ მივაღწიოთ, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროსაც ასევე ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა ხორცით, ბოსტნეულითა და სხვა პროდუქტებით ჩვენი სამრეწველო ცენტრების უზრუნველყოფის საქმეში. რაც შეეხება საბჭოთა მეურნეობებს, რომლებიც ორმაგ დაქვემდებარებაში რჩებიან, არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენ გავზრდით მათ რიცხვს ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს ინტერესებისათვის.

ჩვენი აზრით, ჯერჯერობით ორმაგ დაქვემდებარებაში უნდა დავტოვოთ აგრეთვე თვით სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში მყოფი მეფრინველეობის ფაბრიკები და მსხვილი მეცხოველეობის კომპლექსები. როცა ორმაგ დაქვემდებარებაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ამ მეურნეობათა და საწარმოთა გეგმები სავალდებულო წესით უნდა იქნეს შეთანხმებული რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებასთან. აქვე წინასწარ განიხილავენ მათს კვარტალურ ბალანსებსა და წლიურ ანგარიშებს.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ სულ მალე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ამ საკითხზე.

რაც შეეხება საერთოდ სამინისტროებს, რომლებიც აგროსამრეწველო კომპლექსში შედიან, ისინი გავლენას უნდა ახდენდნენ დარგის საქმეთა მდგომარეობაზე, წარმართავდნენ თავიანთი ადგილობრივი ქვეგანაყოფების მუშაობას, მაგრამ ამასთან რაიონულ დონეზე უნდა უწევდნენ კოორდინაციას მთელ თავიანთ მოქმედებას გაერთიანებებთან.

ამასთან დაკავშირებით მოგახსენებთ დაგეგმვის შესახებ. ჩვენი აზრით, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს უშუალოდ არ უნდა ჰქონდეს საქმე რაიონებთან. მისი ამოცანაა დაუგზავნოს გეგმები სამინისტროებს, რომლებიც, თავის მხრივ, უგზავნიან მათ რაიონებს, რაიონულ გაერთიანებებს, ისინი კი მეურნეობებს. ამასთან აგროსამრეწველო კომპლექსის სამინისტროებისა და უწყებების ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი უნდა განისაზღვრებოდეს იმით, რომ ისინი ყველანი წარმოადგენენ დარგებს, რომლებიც სოფლის მეურნეობას ემსახურებიან.

აგროსამრეწველო კომპლექსის დაგეგმვისა და მართვის საკითხებს უნდა ვწყვეტდეთ უაღრესად ზუსტად და ოპერატიულად, ძალზე მოქნილად, ამასთან უზრუნველვყოფდეთ საბოლოო სახალხო-სამეურნეო ეფექტს, ამინდის თუ სხვა დაბრკოლებების მიუხედავად. ჩვენი რესპუბლიკის პირობებში, სადაც ძლიერ განვითარებულია ეკონომიკის აგრარულ-სამრეწველო სექტორი, სასურსათო პროგრამის რეალიზაციაზე დიდად არის დამოკიდებული მთლიანად ყველა უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდის ტემპი და, მაშასადამე, გარკვეულწილად — მთელი ჩვენი ხუთწლედის ბედიც. VII პლენუმზე ჩვენ საკმაოდ დამაჯერებლად დავასურათხატეთ არსებული მდგომარეობა და მოვითხოვეთ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ყველა ამ საკითხს.

ჩვენ ყველამ ვიცით, რაოდენ რთული მდგომარეობა შეგვექმნა წელს მევენახეობაში. როგორც ამთავითვე ჩანს, ალბათ, 250 ათას ტონაზე მეტი ყურძენი დავკარგეთ. ამასთან დაკავშირებით მინდა გაცნობოთ, რომ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე ცხრა თვის მუშაობის შედეგების შეჯამებისას ჩვენ გამოვთქვით ბევრი საყვედური და სერიოზული კრიტიკა აგროსამრეწველო კომპლექსის რესპუბლიკური საბჭოს და, კერძოდ, ამხ. ო. გ. ვარძელაშვილის მიმართ.

განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი იმას, რომ ჩვენ ყველანი დიდად ვაფასებთ მას, როგორც მუშაკსა და როგორც ხელმძღვანელს, ვაფასებთ შრომისმოყვარეობის, სიმტკიცის, პატიოსნებისა და პრინციპულობისათვის, ამ სიტყვების საუკეთესო გაგებით. და მაინც, მისი ბრალიც არის, რომ ამხანაგებს, რომლებიც აგროსამრეწველო კომპლექსის პრობლემებს განაგებენ, ჯერ კიდევ ვერ უსწავლიათ ამა თუ იმ მოვლენის, პროცესის ხეირიანი პროგნოზირება, აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების საქმიანობის ოპტიმალური რეგულირება. ხშირად მხოლოდ იმას სჯერდებიან, რომ შექმნილი მდგომარეობის მიზეზებს გვაცნობებენ ხოლმე, თანაც, როგორც წესი, გვაცნობებენ მაშინ, როცა რისამე გამოსწორება უკვე უაღრესად რთულია ან საერთოდ შეუძლებელი.

უნდა შევნიშნო, რომ ზოგიერთ სამეურნეო მუშაკს ახასიათებს ასეთი სენი — თავის მართლება ობიექტური სიძნელეებით. ეს ინერტულობა ჩვენთვის გაუგებარია. იგი ჩვენთვის მიუტევებელია. საჭიროა თანდათან დავძლიოთ ხელმძღვანელობის ასეთი სტილი, ხელი ავიღოთ სამმართველო საქმიანობის ყავლგასულ ფორმებსა და მეთოდებზე, სრულვყოთ ისინი. ცხოვრება, პრაქტიკა დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ როცა საქმეს სერიოზულად ვკიდებთ ხელს, შეუპოვრად და მტკიცედ ვკვალავთ მისი განხორციელების გზებს, როგორც წესი, სწორ გადაწყვეტებს ვაგნებთ ხოლმე. თანამედროვე ხელმძღვანელის, პარტიული მუშაკის მაღალი საქმიანი თვისებები სწორედ იმით ვლინდება, რომ იგი უნდა ცდილობდეს მიაგნოს სწორ გადაწყვეტას, ოპტიმალურ გამოსავალს ნებისმიერი მდგომარეობიდან, ყოველგვარი სიძნელიდან.

ვუბრუნდები რა აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის საკითხებს, მინდა დავძინო: **დროა, მოვეშვათ კომპლექსის პრობლემათა განხილვას მხოლოდ და მხოლოდ აგრარული სექტორის პრიზმით, უნდა ვისწავლოთ საერთოდ მთელი აგროსამრეწველო კომპლექსისათვის პასუხისგება.** აგროსამრეწველო კომპლექსი, რაკი მისი დაგეგმვა და მართვა ახლა ხორციელდება როგორც ერთი მთლიანისა, დამოუკიდებლად, საკუთარი რეზერვების ხარჯზე უნდა ანაზღაურებდეს შესაძლო ჩამორჩენას ამა თუ იმ დარგში. საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად დავეუფლოთ ამ მეცნიერებას.

ხომ შეიძლება შემდეგაც გადავაწყდეთ ყოველგვარ მოულოდნელობას და სტიქიურ უბედურებას. **ჩვენ უნარიანად უნდა უზრუნველვყოფდეთ აგროსამრეწველო კომპლექსის სტაბილურ მუშაობას, ვიღვწოდეთ ხუთწლიანი გეგმის უცილობელი შესრულებისათვის.**

მაგრამ გეგმის შესრულების მოთხოვნა სულაც არ ნიშნავს, რომ საამისოდ ყველა საშუალება გამოდგება. სამწუხაროდ, უნდა მოგახსენოთ, რომ ზოგიერთ რაიონში თავი იჩინა უპატიოსნობის გარკვეულმა ელემენტებმა, თვით ჩვენს მევენახეობის სიძნელეებზეც კი ზოგიერთებმა ხელის მოთბობა დააპირეს. ზოგან ხმა დაყარეს, რესპუბლიკის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საჭიროა ყოველგვარი საშუალებით შესრულდეს გეგმა, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის.

ძალზე უსიამო ფაქტი მოხდა სიღნაღის რაიონში. ანაგის ღვინის ქარხანაში აღმოაჩინეს 15 ცისტერნა შაქრის სიროფი, 200 ტონა ფალსიფიცირებული ღვინომასალა და კიდევ 250 ტონა რაღაც სუროგატის სითხე. ნუთუ ასეთი, უკაცრავად პასუხია, „რეზერვების“ იმედით აპირებდნენ გეგმის შესრულებას? ეს ხომ, ამხანაგებო, აშკარა ფალსიფიკაცია, სახელმწიფოს პირდაპირი მოტყუებაა.

ჩვენ ხშირად გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ, რომ ეს ანტისახელმწიფოებრივი, ანტიხალხური პოლიტიკაა. ჩვენ არასდროს არ ვურიგდებოდით და არც შევურიგდებით ასეთ დამოკიდებულებას საქმისადმი, გეგმის ასეთ შესრულებას. ჩვენ არ გვჭირდება წამატებები, თაღლითობა! არ უნდა გავაჭაჭანოთ ალქიმიკოსები, რომლებიც არცხვენენ თავიანთ პროფესიასაც, თავიანთ რესპუბლიკასაც და მთელ ჩვენს ხალხსაც.

გეგმები ჩვენ გვჭირდება ნატურით, და არა ქაღალდზე. მოდით, გულახდილად დავუსვათ საკუთარ თავს კითხვა: რა მოხდა მაინც ისეთი? შარშან ჩვენმა მევენახეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს თითქმის 800 ათასი ტონა ყურძენი. ნუთუ ამის შემდეგ ჩვენ ასე ცუდად ვიწყებთ მუშაობა, ანდა ასე იმატა სიმეჩხერემ, თუ სხვა ნაკლოვანებანი მოგვემატა ერთბაშად? რა თქმა უნდა, არა. პირდაპირ უნდა ითქვას, პირდაპირ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი ვენახები უმაგალითოდ დაისეტყვა, რომ მოხდა ნამდვილი ტრაგედია — ასეთი რამ საუკუნეში ერთხელ ხდება ხოლმე. და თუმცა ნაკლოვანებებიც, უდავოდ, ბევრი გვაქვს, მევენახეთა ახლანდელი ჩამორჩენა აიხსნება უაღრესად მძიმე ამინდის პირობებით, არნახული სეტყვით. და ეს საჯაროდ უნდა ითქვას. ეს პატიოსნად უნდა ითქვას, და პატიოსნად მოვახსენოთ. ჩვენი ყოველთვის ესმოდათ და, დარწმუნებული ვარ, ამჯერადაც გაგვიგებენ.

ხოლო, რაც შეეხება შექმნილ მდგომარეობას, გამოსავალი უნდა ვეძებოთ საქმის უკეთ ორგანიზაციაში, მაღალეფექტიანი სიახლეთა დანერგვაში, და გარდაბნელი ამხანაგებიც მეტწილად ასე იქცევიან.

აქვე დგება ჩვენი სამეურნეო ხელმძღვანელების ინიციატივიანობის, დამოუკიდებლობის, თავისთავადობის საკითხი. მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი ჩვენ უშუალოდ მიზნად გვისახავს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო დამოუკიდებლობის განვითარებას, ხოლო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა: „სანამ ჰექტარს დავიკავებდეთ, სანამ ამა თუ იმ სამუშაოებს შევუდგებოდეთ, გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეკუთვნოდეთ თვით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს“.

ასეთი საკითხები აღძრა ზოგიერთმა ამხანაგმა. და მე მინდა გითხრათ, რომ ჩვენ, რა თქმა უნდა, სულაც არა ვართ იმის წინააღმდეგნი, რომ რაიონებსა და მეურნეობებს მივანიჭოთ მეტი დამოუკიდებლობა, ნაკლებად შევუწყინოთ თავი მეურვეობით და განვუსაზღვროთ მხოლოდ საბოლოო შედეგები. და, ეტყობა, უკვე დადგა დრო, რომ იქ, სადაც ხელმძღვანელებად გამოცდილი, შემოქმედი ადამიანები არიან, რომლებსაც არასდროს არ დავუღალატებივართ, გადავდგათ ასეთი ნაბიჯი, იქამდე კი ყოველმხრივ მოვიფიქროთ, რა ფორმით აჯობებს ამის გაკეთება.

იქ კი, სადაც კადრები ჯერ არ მომწიფებულან საამისოდ, სადაც შეეჩვივნენ ყველა საკითხის შეთანხმებას, ცენტრიდან მზამზარეულ გადაწყვეტილებათა ლოდინს, იქ ეს შესაძლებელი გახდება მომდევნო ეტაპზე, სათანადო მოსამზადებელი სამუშაოს, ჩვენი კადრების შესაბამისი მომზადების შემდეგ.

დამოუკიდებლობა, თავისთავადობა მეურნის შესანიშნავი თვისებაა. თვით სიტყვაც კარგია — გულისხმობს „თავის თავადს“, საკუთარი თავის პატრონს. მაგრამ თავისთავადობას თავიანობა, თაოსნობა სჭირდება. უნდა შეგვეძლოს დამოუკიდებელი მდგომარეობის მიღწევა, მეურნეობრიობის დონის, შენი საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლება.

აი, ჩვენში კი თავი იჩინა მაგალითებმა, რომლებიც, ცოტა არ იყოს, გვაფიქრებს. მაგალითად, შემჩნეულია, რომ ზოგიერთ რაიონში — და ეს საყვედური უშუალოდ პარტიის რაიკომების პირველ მდივნებს ეხებათ — ამ ბოლო დროს არ იყენებენ პირდაპირი დანიშნულებისამებრ აგროსამრეწველო გაერთიანებათა ცენტრალიზებულ ფონდებს, დაიწყეს ამ სახსრების ხარჯზე ისეთი ობიექტების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა სასურსათო პროდუქტების წარმოებასთან.

გაგვიგეთ, ამხანაგებო, ჩვენ სულაც არა ვართ იმის წინააღმდეგი, რომ გაუმჯობესდეს ადამიანთა ყოფა, შესრულდეს გამწვანების, კეთილმოწყობის სამუშაოები და ა. შ. ჩვენ ვიღვწით ადამიანებისათვის, ადამიანთა კეთილდღეობისათვის. მაგრამ თავდაპირველად ხომ, როგორც უკვე ვთქვით, მტკიცედ უნდა დავდგეთ ფეხზე, ვიყოთ დამოუკიდებელნი, თავისთავადნი. პირველ ეტაპზე ცენტრალიზებული ფონდების ყოველი კაპიკი უნდა მოვახმაროთ საწარმოო საჭიროებებს, უზრუნველვყოთ წარმოების მაღალი რენტაბელობა, მივიღოთ მოგება, სტიმული მივცეთ ადამიანთა შრომას და მხოლოდ ამის შემდეგ ვიფიქროთ ყოველივე დანარჩენზე.

უწინარეს ყოვლისა უნდა გვახსოვდეს, რომ საჭიროა მეურნეობას ვუძღვებოდეთ მეცნიერულ საფუძველზე, ეს კი ნიშნავს — ვუძღვებოდეთ მაღალეფექტიანად, რენტაბელურად. ყოველგვარი მოწონების ღირსია ის, რომ პარტიის გარდაბნის რაიკომი, რაიონის სამეურნეო ორგანოები უდიდეს ყურადღებას უთმობენ თვითღირებულებისა და მოგების ფორმირების პრობლემებს, აქტიურად იყენებენ სხვა საფინანსო ბერკეტებს. დასახულია ამოცანა — მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, როცა ყველა დარგი, ყველა მეურნეობა რაიონში რენტაბელური გახდება. ამასთან დასახულია ხუთწლედის უკანასკნელ წელს მივიღოთ დაახლოებით 11 მილიონი მანეთი მოგება. ეს ღირსეული მიზანი, ფრიად საპატიო ამოცანაა.

აგროსამრეწველო გაერთიანებებისა და მათს განკარგულებაში არსებული ცენტრალიზებული ფონდების შექმნის შემდეგ ამ მიმართულებით მიმდინარე მუშაობას ყველგან სისტემური ხასიათი უნდა მიეცეს. ბოლოს და ბოლოს, საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ მოვუღოთ ბოლო სხვათა მოიმედეობის განწყობილებას ჩვენს სახალხო მეურნეობაში, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობის დარგში. ასეთი მოიმედეობა კი ჩვენში, სამწუხაროდ, ზოგან კიდევ შემორჩა, იგი ძირფესვიანად მცდარი, ძირფესვიანად უმართებულოა. არ შეიძლება, ამხანაგებო, ცხოვრობდე სახელმწიფოს ხარჯზე. საჭიროა განვავითაროთ დამოუკიდებლობა, უფრო თამამად წავახალისოთ **კომერციული საწყისი, კომერციული მიდგომა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების**, სხვა ორგანიზაციების საქმიანობაში. საჭიროა უკეთ ვეწეოდეთ კომერციულ მუშაობას ყოველ მეურნეობაში.

ახლა სოფლის მეურნეობაში, საერთოდ აგროსამრეწველო კომპლექსში შექმნილია საამისო პირობები, რომ ყველა დარგი სწრაფი ტემპით, დინამიკურად ვითარდებოდეს. საჭიროა ბოლომდე, მთლიანად, მაქსიმალური უკუგებით გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობანი.

ვგონებ, დადგა დრო, როცა ჩვენმა პატივცემულმა ხელმძღვანელებმა თავიანთი პარტიული ბილეთით, პარტიული სინდისით, საკუთარი თავით აგონ პასუხი ცენტრალური კომიტეტის წინაშე, ჩვენი ხალხის წინაშე აგროსამრეწველო კომპლექსის თითოეულ დარგში საქმის ვითარებისათვის, ყველა მაჩვენებლის მიხედვით, უკლებლივ ყველა პარამეტრის მიხედვით ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის!

ვუძღვებოდეთ მეურნეობას რენტაბელურად — ნიშნავს, როგორც XXVI ყრილობამ მოითხოვა, გადავიტანოთ სიმძიმის ცენტრი კაპიტალური დაბანდების უკუგებაზე. როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ უდიდესი ყურადღება ეთმობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკურ განახლებას. მარტო ბოლო ათ წელიწადში ქვეყნის სოფლის მეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდები გაიზარდა 2,6-ჯერ, ხოლო ჩვენი რესპუბლიკისა — 1,7-ჯერ. სამწუხაროდ, ამავე დროს შემცირდა ფონდუკუგებაც. ახლა ჩვენი რესპუბლიკა ამ მაჩვენებლის მიხედვით ქვეყანაში მე-12 ადგილზე იმყოფება.

ბევრი ეკონომისტი ასეთ მდგომარეობას ხსნის ობიექტური მიზეზებით, კერძოდ, რესპუბლიკის ძირითადი საწარმოო ფონდების სტრუქტურით, სადაც დიდი ხვედრითი წილი უკავია ახალშენ მრავალწლოვან ნარგავებს, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ პროდუქციის შექმნაში. ეს ფაქტორი, რა თქმა უნდა, არსებობს.

მაგრამ დღეს მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო სხვა მომენტებზე. ჩვენში, მაგალითად, ბევრი ნაკლი და ხარვეზია მეცხოველეობის კომპლექსების დაპროექტებისა და მშენებლობის დროს, რის შედეგადაც ისინი წლების მანძილზე დაუტვირთავია ხოლმე. წითელწყაროს რაიონში, მაგალითად, ჩვენ ავაშენეთ „ვორონოვის“ ტიპის კომპლექსი 10 ათასი ხბოსათვის, რაიონს კი მაქსიმუმ ოთხი ათასის მიწოდება შეუძლია. ახლა ამ კომპლექსს, რომელიც სამი წლის მანძილზე ნახევრად ცარიელი იყო, უკვე კაპიტალური რემონტი სჭირდება.

ანალოგიური ამბავი მოხდა გურჯაანის რაიონშიც. არის ასეთი ფაქტები გარდაბანშიც, მე მხედველობაში მაქვს კრწანისის ღორის სასუქებელი კომპლექსი, საერთოდ კარგი მეურნეობა, რომლის გაფართოებისას არ გაითვალისწინეს, რომ რეპროდუქტორის მშენებლობა ჯერ არ იყო დამთავრებული და საეჭვოა დამთავრდეს თუნდაც 1983 წელს. მაშ, რაღა ფონდების უკუგებაზე შეიძლება აქ ლაპარაკი?

აი, რატომ მიაჩნია ცენტრალურ კომიტეტს, რომ ყველა მეურნეობამ, რაიონმა, სამინისტრომ და უწყებამ, რომლებსაც რაღაც დამოკიდებულება აქვთ ჩვენი მთავარი სიმდიდრის — მიწისადმი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ძირითადი ფონდების ეფექტიან გამოყენებას.

და ამოცანა მარტოოდენ ის კი არ არის, რომ დავძლიოთ აშკარა უყაირათობა. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფასაც.

გარდაბნის რაიონში, როგორც მოგეხსენებათ, მებოსტნეობაში სამეურნეოანგარიშიანი უგანწესო ბრიგადების შექმნის რიგიანი გამოცდილება აქვთ შეძენილი. კარგი სახელი მოიპოვეს უგანწესო კომპლექსურმა ბრიგადებმა აბაშის, ლანჩხუთისა და ცხაკაიას რაიონებში (ამ გამოცდილებაზე საინტერესოდ ილაპარაკა დღეს პარტიის დმანისის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. ბერიძემაც), მარცვალ-ასაღებ-სატრანსპორტო ბრიგადებმა სიღნაღისა და თეთრი წყაროს რაიონებში.

სწორედ ასეთი ბრიგადების შექმნა ნიშნავს, კაცმა რომ თქვას, სოფლის **მეურნეობაში ინდუსტრიული წარმოებისათვის დამახასიათებელი შრომის ორგანიზაციის მეთოდების დანერგვას,** და, მაშასადამე, ჩვენი გლეხკაცის ფსიქოლოგიის თანამიმდევრულ შეცვლას. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს სკკპ XXVI ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებულ თეზისს იმის შესახებ, რომ მუშათა კლასის რევოლუციური იდეოლოგია და მორალი, კოლექტივისტური ფსიქოლოგია, ინტერესები და იდეალები დღეს საბჭოთა საზოგადოების ყველა ფენის კუთვნილება ხდება.

ამასთან დაკავშირებით შეგახსენებთ, რომ VII პლენუმზე ჩვენ ლაპარაკი გვქონდა აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში ექსპერიმენტის წესით შექმნილ კომპლექსურ-სამეურნეოანგარიშიან აგროსამრეწველო ბრიგადაზე, რომელმაც თავად იკისრა ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების მთელი ციკლის შესრულება. ამ პლენუმზევე წამოვაყენეთ წინადადება — მოესინჯათ ეს ფორმა სხვა დარგებში. რატომ არ უნდა სცადონ გარდაბნელმა ამხანაგებმა მისი გამოყენება ბოსტნეულის აღებისა და გადამუშავების დროს? რაიონში ხომ არის მეურნეობანი, რომლებსაც კონსერვების საწარმოო საკუთარი ბაზები აქვთ.

დროა, ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას სახელმწიფო ბიუჯეტისადმი. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ბიუჯეტი არ არის ულევი, რომ ეს საყოველთაო-სახალხო კუთვნილებაა. ამიტომ თითოეულმა, უკლებლივ ყოველმა კოლმეურნემ, მუშამ, თითოეულმა სამეურნეო ხელმძღვანელმა, საბჭოთა და პარტიულმა მუშაკმა უნდა იცოდნენ სახალხო სახსრების ყოველი კაპიკის ფასი, უფრთხილდებოდნენ მას!

გამოიყენონ ყოველგვარი შესაძლებლობა მიწათმოქმედის შრომის ეფექტიანობის ამაღლების, სასოფლო-სამეურნეო და მთელი აგროსამრეწველო წარმოების რენტაბელობის ზრდისათვის — აი, რა უნდა მიაჩნდეთ დღეს თავიანთ უპირველეს მოვალეობად ჩვენს სოფლის კომუნისტებს.

III.

როცა სასურსათო პრობლემის გადაჭრის საორგანიზაციო და სამმართველო ასპექტებს ვეხებით, გვერდს ვერ ავუვლით ვერც ჩვენს ისეთ დიდმნიშვნელოვან რეზერვს, როგორიც არის სოფლის მოსახლეობის პირადი დამხმარე მეურნეობანი. გარდაბნის პროგრამა სწორედ იმით გვიზიდავს, რომ მასში შეიმჩნევა სისტემური მიდგომა ამ პრობლემისადმი, არის ზუსტი კონცეფცია, სახელდობრ: **მიაღწიონ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე რაიონის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ძირითადად საკარმიდამო ნაკვეთების ხარჯზე, ხოლო საზოგადოებრივი სექტორის პროდუქცია მოახმარონ ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.**

ეს, ამხანაგებო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მითითებათა სწორი გაგებაა, ეს ძალზე დროული და სწორი მიდგომაა, რომელსაც დაეთანხმნენ აქ გამოსული მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის წარმომადგენლები. იგი თავისთავად გვიკარნახებს გადიდებულ მოთხოვნებს ცალკეული ოჯახებისა და კომლების დონეზე სასურსათო პროგრამების შედგენისადმი. და შემთხვევითი არ არის, როგორც აქ ამხ. ო. მ. ბოკერიამ მოგვახსენა, რომ ხუთწლედის დამლევს კოოპერირებაში ჩაბმული ოჯახების რიცხვი რაიონში ახლანდელი 400-ის ნაცვლად შვიდ-რვა ათასს მიაღწევს.

უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში გარდაბნელები გამონაკლისს არ შეადგენენ. პირად დამხმარე მეურნეობათა განვითარების საინტერესო ფორმებია მიგნებული დმანისის რაიონშიც, სადაც კოოპერირებაში ჩაბმულია უკვე ხუთი ათასი ოჯახი. აქ ძირითადი აქცენტი მოდის რძისა და ძროხის ხორცის წარმოებაზე, პრაქტიკულად სახელმწიფო რესურსებიდან კონცენტრირებული საკვების გამოუყოფლად. მეურნეობები უფასოდ ახორციელებენ მოსახლეობის პირუტყვის ვეტერინარულ და ზოოტექნიკურ მომსახურებას, აწყობენ ხელოვნურ დათესვლას, გამოჰყოფენ მიწის ნაკვეთებს. აღარ ვასახელებ აბაშის ან მახარაძის გამოცდილებას, რომელსაც არაერთხელ შევეხებივართ.

ყველა ეს დეტალი იმიტომ მოგვყავს, რომ **მოსახლეობასთან კოოპერირება დღესდღეობით მაინც ვერ გავრცელდა რესპუბლიკაში ისე ფართოდ, როგორც ჩვენ მოველოდით.** ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს ამ პრობლემას პარტიის ბევრი რაიონული კომიტეტი. გაუგებარია, მაგალითად, ახალქალაქელი ამხანაგების პოზიცია — ამ რაიონში მხოლოდ ოთხ მეურნეობაში მისდევენ კოოპერირებას, თუმცა რაიონში ბევრი სასარგებლო და ნამდვილად საინტერესო რამ კეთდება.

დღეს შემთხვევით როდი მივაჩნიეთ მიზანშეწონილად განგვეხილა ყველა ეს პრობლემა სწორედ მართვის პრიზმით. როცა ყოველნაირად ვახალისებთ პირად დამხმარე მეურნეობათა განვითარებას, მათს კოოპერირებას საზოგადოებრივ მეურნეობებთან, ჩვენ, ამასთანავე, არა გვაქვს უფლება დავივიწყოთ არც ის, რომ ეს პროცესები სულაც არ არის ერთგვაროვანი და, მართალი გითხრათ, ნაკლებად შესწავლილია ზოგიერთი სოციალური შედეგის თვალსაზრისით. ძალიან კარგია, რომ ჩვენმა ეკონომისტებმა ხელი მოჰკიდეს ამ პრობლემების შესწავლას. მე დიდი ინტერესით გავეცანი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის ამხ. ა. ლ. გუნიას პუბლიკაციებს, მეორე ჩვენი ცნობილი მეცნიერის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის გამოსვლებს პრესაში. ეს შექმნილი გამოცდილების განზოგადების კარგი ცდებია.

დიახ, ჩვენ ვაცხადებდით და ვაცხადებთ, რომ პირად დამხმარე მეურნეობათა მომხრენი ვართ. ჩვენ მიგვაჩნდა და კვლავინდებურად მიგვაჩნია, რომ ისინი ასრულებდნენ და კვლავაც შეასრულებენ შესამჩნევ როლს ძირითადი სასურსათო პროდუქტებით რესპუბლიკის ქალაქების მოსახლეობის უზრუნველყოფაში. სწორედ ამიტომ არის, რომ ამ ბოლო წლებში ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ პირადი დამხმარე მეურნეობის გაძღოლის პირობების გასაუმჯობესებლად. ეს ჩვენი პრინციპული პოზიციაა.

ამასთანავე საჯაროდ უნდა განვაცხადო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა მომხრენი არიან ისეთი პირადი დამხმარე მეურნეობისა, რომელიც გონივრულად ვითარდება, რომელიც ექვემდებარება საზოგადოებრივ მეურნეობათა მიერ **მართვას**, ესეც პრინციპული საკითხია. ჩვენ კატეგორიულად წინააღმდეგი ვართ ისეთი პირადი მეურნეობისა, რომელიც დამხმარესაგან გამდიდრებისა და მომხვეჭელობის საშუალებად გადაიქცევა. პირადი დამხმარე მეურნეობის გაძღოლისას დაუნდობლად და უკომპრომისოდ უნდა აღვკვეთოთ ყოველგვარი დარღვევა, რომელსაც შეიძლება ეს მოჰყვეს.

საჭიროა მარჯვედ და წიგნიერად, კვალიფიციურად ვმართოთ პროდუქციის შექმნა ამ სფეროში. არადა, ზოგან თავი იჩინა სწორედ რომ არამართლზომიერების ზოგიერთმა სიმპტომმა. ეს განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ინტენსიური მებოსტნეობის ადგილებში — მარნეულის, მცხეთის, ლაგოდეხის რაიონებში, ქალაქ წყალტუბოს ზონაში. ამ რაიონების მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დიდ ფართობებზე აშენებს დროებითსა თუ კაპიტალურ სათბურებს, მოჰყავს აქ დიდი რაოდენობის სადრეო ბოსტნეული და შემდეგ არ აბარებს მათ სახელმწიფოს, თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას. გასაგებია შეშფოთება, რომელსაც ადამიანები გამოთქვამენ თავიანთ წერილებში იმასთან დაკავშირებით, რომ საკოლმეურნეო ბაზრებში ზოგიერთი პროდუქტის ფასი არამართლზომიერი გახდა. საჭიროა სერიოზულად ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ მოვაწესრიგოთ ეს ფასები გონივრულ ფარგლებში.

სერიოზულად დგას ბევრი საკითხი მეცხვარეობის რაიონებშიც. ჩვენთან ისეთი სიგნალებიც კი შემოდის, რომ ზოგან დაქირავებული შრომის გამოყენებასაც კი ცდილობენ. ამას კი ვერაფრით ვერ შევურიგდებით! ეს, ამხანაგებო, ყოვლად დაუშვებელია, და ასეთი მოქმედებისათვის, რომელიც სრულიად შეუთავსებელია სოციალისტური მეურნეობრიობის სისტემასთან, ჩვენებურ სოციალისტური ცხოვრების წესთან, მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ პარტიის რაიონულ კომიტეტებსა და პირადად რაიკომების პირველ მდივნებს, რაიაღმასკომებს, აგროსამრეწველო გაერთიანებებს.

თავიდათავი ის არის, რომ პირადი საკარმიდამო მეურნეობის გაძღოლა **მთლიანად მართვადი გავხადოთ.** თორემ სხვაგვარად შეიძლება გადახრები გვქონდეს როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს. მოგეხსენებათ, უკონტროლობას ყოველთვის მძიმე შედეგები მოსდევს ხოლმე.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ პირად დამხმარე მეურნეობებში პირუტყვის ყოლის ნორმები შეიძლება განისაზღვრებოდეს თვით რაიონებში, თვით მეურნეობებში, ოღონდ ერთი პირობით — კოლმეურნეობანი აქტიურად უნდა მართავდნენ ამ პროცესებს, იყენებდნენ ისეთ ნაცად ბერკეტებს, როგორიც არის კოოპერირება და დამზადების სისტემა. სწორედ კოოპერირება გვაძლევს საშუალებას აღმოვფხვრათ საზოგადოებრივი მეურნეობებისადმი დამხმარე მეურნეობათა დაპირისპირების ელემენტები, ხოლო დამზადება იმის შესაძლებლობას გვიქმნის, რომ აქტიურად და მიზანმიმართულად ვახდენდეთ გავლენას მოსახლეობაში პროდუქციის წარმოებაზე.

მინდა პლენუმის მონაწილეებს შევახსენო, რომ 1977 წელს ჩვენ შევცვალეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სისტემა და მთელი ფუნქციები გადავეცით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. შემდეგ მასში შეგვქონდა ზოგიერთი ცვლილება, მაგრამ ყველა მიღებულ გადაწყვეტილებაში საგანგებოდ იყო დათქმული, რომ როგორც საზოგადოებრივ სექტორში, ისე მოსახლეობას შორის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამამზადებლებს კვლავინდებურად წარმოადგენენ კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი. 1982 წლიდან ჩვენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოსახლეობისათვის კომბინირებული საკვების მიყიდვის ფუნქციაც კი გადავეცით, რათა მეურნეობათა ხელში ყოფილიყო მოსახლეობისაგან შესყიდული მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების მართვის არსებითი ბერკეტი.

უნდა ითქვას, რომ განვლილი წლების მანძილზე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 35 მილიონ მანეთზე მეტი მოგება მიიღეს. ამასთანავე ჩვენ ვამჩნევთ, რომ უკანასკნელ ხანს დამზადების სისტემაში რაღაც მოიშალა. განსაკუთრებით მტკივნეულად ვლინდება ყოველივე ეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებაში, დაღს ასვამს კოოპერირებას.

ასეთი მდგომარეობის მიზეზები ის გახლავთ, რომ ზოგან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები პრაქტიკულად განზე გაუდგნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებას, ის კი არა, აქ მოსახლეობისაგან შესყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების საკონტროლო დავალებათა დაწესებაზეც აიღეს ხელი. ბევრგან პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისათვის პასუხისმგებლობა სასოფლო საბჭოებს დააკისრეს, რაც ყოვლად უმართებულოა.

სასოფლო საბჭოს არ გააჩნია არც შტატები და არც შესაძლებლობა საამისოდ, რომ მართოს ეს პროცესი. მას შეუძლია განახორციელოს საკონტროლო ფუნქციები ამ საქმეში. პირად დამხმარე მეურნეობათა ყველა გასაღები კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავმოყრილი უნდა იყოს კოლმეურნეობის გამგეობის, საბჭოთა მეურნეობის დირექციის ხელში. საჭიროა აქვე, ადგილზევე შეიკრას ამ მეურნეობათა მართვის ციკლი.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბევრი რაიონული პარტიული კომიტეტის მდივანი, აღმასკომისა და გაერთიანების თავმჯდომარე ბოლომდე ვერ გარკვეულა ამ საკითხებში და მიზნის მიღწევის ყველაზე იოლ გზებს არჩევს. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის IX პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ერთხელ კიდევ შევახსენო ამხანაგებს, რომ **ყოველ რაიონს, თითოეულ მეურნეობას უნდა ვუწესებდეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ორ მაჩვენებელს: საზოგადოებრივ მეურნეობებში და მოსახლეობაში დამზადებული პროდუქტებისას.**

მახსოვს, ჩვენ ისიც კი ვთქვით, დიდ მეურნეობებში დამზადებისა და კომერციული მუშაობის დარგში თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა შემოვიღოთ. ეს, ამხანაგებო, აუცილებლად უნდა გავაკეთოთ, რათა დავძლიოთ სხვათა მოიმედეობის განწყობილება, ვისწავლოთ, ბოლოს და ბოლოს, ფულის ყადრი და განვახორციელოთ მანეთით კონტროლი.

რაც შეეხება რაიონულ რგოლს, VII პლენუმზე წამოყენებულ იქნა წინადადება, ექსპერიმენტის წესით ასევე შემოგვეღო დამზადებისა და კომერციული საქმიანობის დარგში რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების უფროსის მოადგილის თანამდებობა, მოგვევალებინა აგროსამრეწველო გაერთიანებისა და სამეურნეობათაშორისო გაერთიანებების ურთიერთობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების საქმეში. როგორც ვხედავთ, ეს მართლაც ძალზე საჭიროა.

სხვა რომ არა ვთქვათ რა, ეს შესაძლებლობას მოგვცემს ჩანასახშივე აღვკვეთოთ შესაძლო დარღვევები, რომლებიც ახლა საკმაოდ გვაქვს. მაგალითად, არ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მითითება რაიონულ ცენტრებში პირუტყვის მიმღები პუნქტების ორგანიზაციის შესახებ, ზოგან ხელოვნურ ბარიერებს ქმნიან შესყიდული პროდუქციისათვის მოსახლეობასთან ანგარიშსწორებაში და ა. შ. ასეთი ფაქტები გამოვლინდა სიღნაღის, ზუგდიდის, მახარაძის, თეთრი წყაროსა და დუშეთის რაიონებში. ანალოგიურმა ტენდენციებმა იჩინა თავი სხვა რაიონებშიც, კერძოდ, გარდაბანშიც.

რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საბჭო, სოფლის მეურნეობის, ხილბოსტნეულის მეურნეობისა და დამზადების სამინისტროებთან ერთად, წლის დამლევამდე საფუძვლიანად უნდა გაერკვეს შექმნილი მდგომარეობის მიზეზებში. რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს მუდამ უნდა ჰქონდეთ თვალთახედვის არეში სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების ორგანიზაციის საკითხები, მეტადრე — მოსახლეობაში დამზადებულისა, გამოძებნონ ორმხრივ ხელსაყრელი და მოსახერხებელი თანამშრომლობის ფორმები.

ამავე დროს ყურადღება არ უნდა მოვაკლოთ საზოგადოებრივ მეურნეობასთან პირად დამხმარე მეურნეობათა კოოპერაციის შემდგომ გაფართოებას. ეს მოსახლეობაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მართვის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი და ეფექტიანი ფორმაა. ვფიქრობ, საჭიროა სოფლის მეურნეობისა და ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროებს დავავალოთ შეიმუშაონ კოოპერირების პრობლემათა გაძღოლის სისტემა და მასთან ერთად სპეციალური პროგრამა, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცდება სადღაც 1983 წლის პირველ კვარტალში. კაცმა რომ თქვას, რაც უფრო ადრე მოხდება ეს, მით უკეთესი. ამ პროგრამის შედგენისას იმით უნდა ვხელმძღვანელობდეთ, რომ **ხუთწლედის დამლევს უსათუოდ მივაღწიოთ ეგრეთ წოდებული მიგდებული მიწების სრულ ათვისებას და მნიშვნელოვნად შევამციროთ სოფლად ისეთი ოჯახების რიცხვი, რომლებსაც პირუტყვი არა ჰყავთ.**

ამასთან მინდა ერთხელ კიდევ შეგახსენოთ, რომ **სოფლის მეურნეობის პროდუქტების, უწინარეს ყოვლისა, ხორცისა და რძის წარმოების ყოველმხრივი გადიდება საერთო-პარტიული, საყოველთაო-სახალხო საქმეა, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების გზაზე.**

IV.

სასურსათო პროგრამის შედგენისა და რეალიზაციის საქმეში პარტიის გარდაბნის რაიონული კომიტეტის გამოცდილების შესწავლა, მთელი ჩვენი პლენუმის მიმდინარეობა ერთხელ კიდევ ადასტურებს პარტიული ხელმძღვანელობის უცილობელ კანონს — **თითოეულ აქციას, ყოველგვარ პროცესს საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების ნებისმიერ სფეროში თან უნდა სდევდეს, უნდა განამტკიცებდეს შესაბამისი იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა.**

ჩვენ უფლება არა გვაქვს წუთითაც კი დავივიწყოთ ის, რომ დასახული მიზნის მიღწევის, კერძოდ, სასურსათო პროგრამის წარმატებული რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი პირობაა **მჭიდროდ დავუკავშიროთ ერთმანეთს სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტა.** აი, რატომ არის, რომ ყველა აღძრული პრობლემა, მათ შორის მოსახლეობასთან საზოგადოებრივ მეურნეობათა შემდგომი კოოპერირების, სოფლის მშრომელთა პირადი საკარმიდამო მეურნეობების განვითარების პრობლემა მოითხოვს, უწინარეს ყოვლისა, პარტიული ორგანიზაციების უდიდეს ყურადღებას. არას გვარგებს ამ საქმის თვითდინებაზე მიშვება. უნდა განვავითაროთ კოოპერაციის ისეთი ფორმები, რომლებიც მთლიანად გამორიცხავს მუშტრული ფსიქოლოგიის რეციდივებს, განვამტკიცოთ ყველა ღონისძიება ადამიანებზე იდეოლოგიური ზემოქმედების გაძლიერებით.

(დასასრული მე-4 გვ.)

მარცვლეულისა და საკვების წარმოების ზრდა, რაიონული აგროსამრეწველო კომპლექსის ეფექტიანობის ამაღლება სასურსათო პროგრამის განხორციელების გადამწყვეტი პირობაა

ბიბლიოთეკა

(დასასრული)

თვალი არ უნდა ავარიდოთ, მაგალითად, იმას, რომ საკარმიდამო ნაკვეთებს გვარიანი შემოსავალი მოაქვს სოფლელებისათვის. მივმართოთ ციფრებს. 1981 წელს რესპუბლიკაში კოლმეურნეთა ერთი ოჯახის ერთობლივმა შემოსავალმა საშუალოდ შეადგინა 6 ათას მანეთზე მეტი, ეს კი 1,5-ჯერ და მეტად სჭარბობს 1975 წლის შესაბამის მაჩვენებელს. ჩვენი სოფლის მცხოვრებლების ფულადი შემოსავლის სტრუქტურაში სულ უფრო მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კოლმეურნეობებში შრომის საზღაურად მიღებულ შემოსავალს. ეს, როგორც თავად ხედავთ, დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასა და მის მომიჯნავე დარგებში მატერიალური სტიმულირების ახალი ფორმების დანერგვასთან.

გარდაბნის რაიონში, მაგალითად, მოსახლეობის ფულადი შემოსავლის მოცულობამ 1981 წელს 92 მილიონ მანეთზე მეტი შეადგინა, რაც 3,5-ჯერ სჭარბობს 1971 წლის შესაბამის მაჩვენებელს და 2,2-ჯერ — 1976 წლის მაჩვენებელს. შთამბეჭდავი ტემპია!

საერთოდ, რა თქმა უნდა, კარგია, რომ ჩვენი სოფლის მშრომელები ახლა მეტს იღებენ, რომ მათი შემოსავლის ძირითადი და სულ უფრო მეტი ნაწილის წყაროა საზოგადოებრივ მეურნეობებში შრომა. ამასთანავე ყოველივე ეს რთულ ურთიერთდამოკიდებულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს აყენებს საგეგმო, საფინანსო, საბანკო ორგანოების, მომმარაგებელი ორგანიზაციების, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის, მომსახურების სფეროს წინაშე, და მათი გადაწყვეტა გვმართებს დაუყოვნებლივ. მაგრამ ესეც მხოლოდ ერთი მხარეა საქმისა.

მეორე ის გახლავთ, რომ საჭიროა ნიადაგ ვზრდიდეთ ადამიანებს. ჩემი აზრით, ძალზე სწორად და დროულად აღძრა ეს საკითხი შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ვ. ი. ვაშაკიძემ. ჩვენ ვამბობთ — „მიწათმოქმედების კულტურა", „წარმოების კულტურა", „შრომის კულტურა". არადა, ჩვენ გვმართებს ადამიანებს გამოვუმუშაოთ კვების კულტურაც. ეს ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემაა და ჩვენ სერიოზულად უნდა ვიფიქროთ მასზე, განვახორციელოთ მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებანი. აღმზრდელობითი მუშაობის გაუწევლად მოქალაქეთა შემოსავლის ზრდამ, მათი მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებამ შეიძლება ხელშემწყობი ფონი შეუქმნას დამგროვებლური, კერძომესაკუთრული ტენდენციების გამოვლენას.

სწორედ ამიტომ გავუსვით ხაზი პარტიული ორგანიზაციების, პარტიის რაიონული კომიტეტების განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აგროსამრეწველო კომპლექსის საქმეთა მდგომარეობისათვის, სასურსათო პროგრამის ამოცანების განხორციელებისათვის. თუ არა ისინი, სხვა ვინ აგებს პასუხს აგიტაცია-პროპაგანდის დონისათვის? თუ არა ისინი, სხვა ვინ არის მოწოდებული ეძიოს იდეურ-აღმზრდელობითი შემოქმედების ახალი, ცხოვრებასთან მაქსიმალურად მიახლოებული ფორმები და მეთოდები? საჭიროა კარდინალურად ამაღლდეს პარტიის რაიკომების, პირველადი პარტორგანიზაციების როლი ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში. რაიონულ და პირველადს რგოლში იდეოლოგიურ მუშაკთა შემოქმედებითი აქტივიზაციის განუხორციელებლად ჩვენ ვერ მივაღწევთ პროპაგანდის ჯეროვან მოქნილობას, ოპერატიულობასა და ეფექტიანობას, სამეურნეო და იდეურ-აღმზრდელობითი ამოცანების შერწყმას.

სწორედ ამაზეა გამახვილებული ყველა პარტიული კომიტეტის ყურადღება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის პარტიის წითელწყაროს რაიკომის მუშაობის შესახებ". გარდაბნის რაიკომში, როგორც ვიცით, განიხილეს ეს დადგენილება, განახორციელეს და ახორციელებენ, ჩვენი აზრით, საინტერესო, სერიოზულ ღონისძიებებს მისი შესრულებისათვის. უკვე ბევრი რამ გაკეთდა: ვერ ვუსაყვედურებთ ვერც ლექციების, ვერც საუბრების, ვერც სემინარების სიმცირეს და ვერც გაწეული აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ სამეურნეო ხელმძღვანელთა ანგარიშების ნაკლებობას. მაგრამ პირდაპირ გეტყვით, რომ ყველა ღონისძიება ტარდება ძველებურად, რაიონის სამეურნეო ცხოვრების ახალი სპეციფიკური პირობების გაუთვალისწინებლად. საკითხავია, რატომ უვლიან გვერდს ლექციურ პროპაგანდაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის საკითხებს? აქაც საჭიროა სერიოზული გარდაქმნა თითოეული ხელმძღვანელის, ყოველი მშრომელის შეგნებაში. მე აღარაფერს ვამბობ ისეთ თემებზე, როგორიც არის, ვთქვათ, სოფლის ინტელიგენციის როლის ამაღლება რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაში, სოციალურ-კულტურული, აღმზრდელობითი ამოცანების გადაწყვეტაში. ყოველივე ეს, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ, პარტიის რაიკომის იდეოლოგიური მუშაობის ქვაკუთხედი უნდა იყოს.

ჩვენ ბევრს ვღვწით მატერიალური სტიმულირების სრულყოფისათვის და გვავიწყდება, რაოდენ მძლავრი ძალაა მოქცეული ადამიანთა მორალურ სტიმულირებაში, მათი ინიციატივის, შემოქმედებითი ძიების წახალისებაში. ცხადია, აქაც გვჭირდება ახალი ფორმები. ცხადია ისიც, რომ დროა ვიზრუნოთ სოფლად მომუშავე მეცნიერ-პედაგოგიური ინტელიგენციის აქტივიზაციის, მისი სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის — ესეც ხომ ჩვენი ერთგული იდეოლოგიური აქტივი, ჩვენი დასაყრდენია.

სასურსათო პროგრამის შესრულება მოითხოვს ღრმად და ყოველმხრივ გარდავქმნათ ადამიანთა დამოკიდებულება საქმისადმი, ჩამოვუყალიბოთ ქალაქისა და სოფლის მშრომელებს პარტიის მიერ დასახული კურსის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის ნათელი, მკაფიო გაგება. ამასთან, ყოველ რეგიონში, თითოეულ რაიონში ამ დებულებამ უნდა ჰპოვოს თავისი კონკრეტული მისადაგება, იგი უნდა შეესაბამებოდეს იმ კონკრეტულ პირობებს, შესაძლებლობებს, იმ კონკრეტულ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტაც უხდებათ მოცემული კონკრეტული რაიონის, კონკრეტული საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის, საწარმოს მშრომელებს. ეს კი, სამწუხაროდ, ყოველთვის და ყველგან ვერ ხერხდება.

ჩვენ არაერთგზის გვითქვამს, რომ პროცესები, რომლებიც დღეს მიმდინარეობს სოფლად, სერიოზულ მეცნიერულ შესწავლას, გაანალიზებას, გააზრებას მოითხოვს. არაერთგზის დაგვისახავს ჩვენი სწავლულებისათვის ამოცანა — შემატონ თავიანთი მეცნიერული წვლილი ახლანდელ გარდაქმნას სოფლად, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ყველა თაოსნობაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ გარდაბნის რაიონს საერთოდ საუცხოო მჭიდრო კონტაქტები დაუმკვიდრდა მეცნიერებასთან, კარგი იქნებოდა, იდეოლოგიური პროფილის ინსტიტუტებსაც ეპოვათ თავიანთი ადგილი იმ სოლიდურ პროგრამაში, რომელიც აქ მუშავდება. ყოველივე ამას უშუალო კავშირი აქვს, როგორც ეკონომიკური, ისე იდეოლოგიური საქმიანობის გაძლიერების ფორმებისა და მეთოდების ძიებასთან.

ასეთ მიდგომას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახლანდელ პირობებში, როცა აგროსამრეწველო გაერთიანებათა ჩამოყალიბებამ სოფლად შექმნა ახალი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, რომელიც სტიმულს აძლევს პარტიული მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პარტიის სასოფლო რაიკომები თავისუფლდებიან იმის აუცილებლობისაგან, რომ ეწეოდნენ მიმდინარე ოპერატიულ სამეურნეო მუშაობას. და, მაშასადამე, მათ უჩნდებათ დამატებითი დრო, ახალი შესაძლებლობანი, რათა გააძლიერონ პოლიტიკური მუშაობა, რათა პარტიული კადრების, ადამიანთა შეგნების მეშვეობით გავიდნენ რთული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტის მიჯნებზე.

ეს, რა თქმა უნდა, არათუ არ ამარტივებს, არამედ, პირიქით, ართულებს კიდეც მათს ფუნქციებს. პარტიის გარდაბნის რაიკომის მუშაობის სტილის, ბიუროს, სხდომებზე მოსმენილ საკითხთა წრის ანალიზი გვიჩვენებს, რომ აქ თანდათან ძლევენ წარსულის წლებისათვის დამახასიათებელ მეტისმეტ სამეურნეო გადახრას. აი, ამხანაგებმა წარმოადგინეს ასეთი ცნობები: შარშან ბიუროს სხდომაზე განხილულ 44 საკითხთაგან ნახევარზე მეტი მოდიოდა წმინდა სამეურნეო საკითხებზე, როგორიც არის, მაგალითად, ცხვრის წველის მიმდინარეობა, სოფლის მეურნეობის კულტურების მავნებელთა წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, ცხვრის პარსვის სეზონისათვის მზადება და სხვა. ახლა ასეთ საკითხებს განიხილავს რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭო, ხოლო საბჭოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე ანგარიშს აბარებს ბიუროს.

პარტიის რაიკომი კი განიხილავს საკვანძო პრობლემებს. 9 თვის მანძილზე განხილულია 18 საკითხი, და მათი უმრავლესობა ახლა უკავშირდება პარტიულ ორგანიზაციათა როლის ამაღლებას სასურსათო პროგრამის შემუშავებისა და რეალიზაციის საქმეში, შესრულების კონტროლისა და შემოწმების განსახორციელებლად პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობას, ორგანიზატორული, იდეურ-აღმზრდელობითი, საკადრო მუშაობის სრულყოფას და ა. შ.

ამრიგად, მეურნეობრიობის ახალ პირობებში გარდაბნის რაიკომი სულ უფრო მეტად ახმარს მეცადინეობას სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის მთავარ პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ ასპექტებს.

ასეთ მიდგომას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან დღეს ყოველი რაიონული კომიტეტის მუშაობა ფასდება არა მარტო სამეურნეო შედეგების, არამედ იმის მიხედვითაც, თუ რა საშუალებებით არის უზრუნველყოფილი ისინი. გულახდილად ვაღიაროთ: ჯერ კიდევ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ჩვენი პარტიული ორგანოები მთელ რიგ შემთხვევებში, მეტადრე მაშინ, როცა სამეურნეო სფეროში გარკვეული მიღწევები იყო, მაინცდამაინც არ სთხოვდნენ ზოგიერთ ხელმძღვანელსა და პარტიულ მუშაკს უშუალო პოლიტიკურ მოვალეობათა შესრულებას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ ნაკლებ პოლიტიკურ მოთხოვნებს უყენებდნენ. ხშირად ამის შედეგად ხელმძღვანელის უარყოფით თვისებებს — შიშველ ადმინისტრირებას, კოლეგიურობის უქონლობას, თვით უხეშობასაც კი ჩქმალავდა სამეურნეო წარმატებები.

ახალ პირობებში ხელმძღვანელობის ნებელობითი მეთოდები სრულიად შეუწყნარებელია. ხელმძღვანელი, რომელსაც არ ძალუძს ლოგიკურად დაარწმუნოს ადამიანები, ჩაუნერგოს საკუთარი ძალების რწმენა, ფრთა შეასხას მათ, ვერასოდეს ვერ მოიპოვებს ავტორიტეტს მასებში. **ცხოვრება აყალიბებს ახალი ტიპის პარტიულ მუშაკს, რომელსაც აქვს აშკარად გამოხატული დემოკრატიული აზროვნება, უნარი — წარმართოს მთელი ძალისხმევა ეკონომიკის განვითარების ძირეული, პრინციპული საკითხების გადასაწყვეტად, შეუძლია, როგორც ამას ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, უხელმძღვანელოს საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს ამ ორგანოებში მომუშავე კომუნისტების მეშვეობით.** ასეთი პარტიული ხელმძღვანელი პატივს სცემს და აფასებს საზოგადოებრივ აზრს, იყენებს მას თავის მუშაობაში.

პარტიის გარდაბნის რაიკომის მაგალითით კარგად ჩანს, როგორ ხორციელდება ეს გარდაქმნა, როცა ამხანაგები თანდათან ხელს იღებენ სამეურნეო ორგანოების წვრილმან მეურვეობაზე. და მაინც, რაიკომს ალბათ მართებს უფრო მკაფიოდ განსაზღვროს თავისი პოზიცია აგროსამრეწველო კომპლექსის ორგანიზაციებს შორის სწორი ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. ამ საქმეში ადგილობრივ ამხანაგებს უსათუოდ სჭირდებათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, სხვა ხელმძღვანელი ორგანოების დახმარება.

მაგალითად, დროა ზუსტად განისაზღვროს აგროსამრეწველო გაერთიანებების ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობების წრე, მათი, როგორც სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა პირველი მოადგილეების, ფუნქციები, ესეც სერიოზული საკითხია. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი რამ არის ცხადი — **გაერთიანებათა ხელმძღვანელებმა მაქსიმალურად უნდა განტვირთონ საბჭოები სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხების გადაწყვეტისაგან.** მაგრამ აქ დგება ბევრი ახალი პრობლემა, მათ შორის, სტატუსთან, სუბორდინაციასთან დაკავშირებული და სხვა პრობლემები. შემთხვევითი როდია, რომ მთელი სიმწვავით ილაპარაკეს ამაზე კამათის მონაწილე ამხანაგებმა, ყველა ეს პრობლემა გადასაწყვეტია. ალბათ, ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს განყოფილებებთან ერთად ყველა ამ საკითხის გადაწყვეტას ხელი უნდა მოჰკიდონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შესაბამისმა ქვეგანაყოფებმაც.

ახლანდელი პლენუმის მომზადებისას ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ პარტიის რაიკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების საქმიანობას. ეს ახალი რგოლია, რომელიც ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შემდეგ ჩამოყალიბდა. გარდაბანში სწორ გზას დაადგნენ, როცა ამ განყოფილების ძირითადი ყურადღება წარმართეს აგროსამრეწველო კომპლექსში, ყველა მის ქვეგანაყოფში პარტიული გავლენის გასაძლიერებლად, სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარებაში უახლოესი თუ უფრო შორეული პერსპექტივის განსასაზღვრავად, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე პრაქტიკის დასანერგავად, დამატებითი რეზერვების გამოსავლენად. განყოფილების მუშაკები ყოველდღიურ კონტროლს უწევენ სასურსათო პროგრამის რეალიზაციას, მუშაობენ აგროსამრეწველო კომპლექსში სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის საკითხებზე, მზრუნველობას არ აკლებენ პირველადი პარტიული რგოლების მებრძოლურობის ამაღლებას. ეს სწორი მიმართულებაა.

ამასთანავე საჭიროა საგრძნობლად გაუმჯობესდეს კადრებთან მუშაობა — მოგეხსენებათ, ეს საკვანძო პრობლემაა. VII პლენუმზე პარტიის რაიკომი გავაკრიტიკეთ ამ სფეროში არსებული ხარვეზებისათვის. განყოფილება უნდა გახდეს მთელი პარტიული კომიტეტის საიმედო დასაყრდენი ამ საქმეში, ყველა ნაკლის გამოსწორებაში. უნდა ვიღვაწოთ იმისათვის, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო საქმიანობის ყველა პასუხსაგებ უბანს სათავეში ედგნენ კომპეტენტური, ინიციატივიანი ადამიანები, მცოდნე, საქმის ერთგული მუშაკები, რომელთა პოლიტიკური თვისებები და მორალური სახე არავითარ ეჭვს არ იწვევს.

ახლა ჩვენთან, ცენტრალურ კომიტეტში, მუშავდება ნომენკლატურულ კადრებთან მუშაობის ახალი სისტემა. მნიშვნელოვნად ფართოვდება ახლად ასარჩევ, დასანიშნავ და დასამტკიცებელ კადრებთან გასაუბრების პრაქტიკა, ეწყობა მათი სწავლება და სტაჟირება. იხვეწება პარტიული ატესტაციისა და ხელახალი ატესტაციის მეთოდიკა. ამ სისტემის პროექტი განსახილველად დაეგზავნა პარტიის ყველა რაიკომს. სასურველია, პარტიის რაიკომები ამთავითვე შეუდგნენ ასეთივე სისტემის შემუშავებას თავიანთი ნომენკლატურის კადრებისათვის. და აქაც თავიანთი სიტყვა უნდა თქვან სოფლის მეურნეობის განყოფილებებმა.

ახალ პირობებში საჭირო ხდება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო გაერთიანებაში შემავალი სხვა საწარმოების პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა მეცადინეობის უკეთ კოორდინაცია. საკმაოდ ეფექტიანი ფორმა გამოდგა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივანთა საბჭოები.

ისევე როგორც ბევრ სხვა საქმეში, ჩვენ აქაც გამოვიყენეთ ჩვენი სამრეწველო გაერთიანებების გამოცდილება. მდივანთა საბჭოები არც აქ არის არჩევითი, საწესდებო ორგანოები, და, მაშასადამე, მათ არა აქვთ ხელმძღვანელობისა და კონტროლის ფუნქცია. მათს კომპეტენციას განეკუთვნება მხოლოდ პარტიულ ორგანიზაციათა მოქმედების კოორდინაცია, მოწინავე გამოცდილების გაზიარება, პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება მშრომელთა კოლექტივების ხელმძღვანელობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესების შესახებ.

მაგრამ ეს სულაც არ გამორიცხავს მათი ფორმების მრავალფეროვნებას. საქმე ის არის, რომ სოფლად უაღრესად დიდია ტერიტორიული ფაქტორის როლი. და ეს არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ სოფლის პარტიულ ორგანიზაციათა სტრუქტურის სრულყოფის დროს. ამიტომ, თუ რესპუბლიკის ისეთ რაიონებში, როგორიც არის აბაშის, ბოლნისის, გორის, მახარაძის რაიონები, აგროსამრეწველო კომპლექსის პირველადს პარტორგანიზაციათა მდივნების საბჭოები საწარმოო ნიშნის მიხედვით შეიქმნა, მაგალითად, გარდაბნის, ისევე, როგორც სიღნაღის რაიონში, ხორციელდება ღონისძიებანი ასეთი საბჭოების შესაქმნელად სოფლებისა და დაბების ფარგლებში.

ჩვენ არ გამოვრიცხავთ სიახლის ძიებას წმიდა პარტიულ მუშაობაშიც, და ამიტომ ვთვლით, რომ ამ ორივე ფორმას, ექსპერიმენტის წესით, თანასწორი არსებობის უფლება აქვს.

საბოლოო ანგარიშით, მთავარია არა ფორმა, როგორც ასეთი, არამედ პარტიის ყველა პირველადი უჯრედის მაღალი ქმედითობის, მებრძოლურობის უზრუნველყოფა. იქ, სადაც ნამდვილად ასეა, სადაც პარტიული ორგანიზაცია აქტიურად წარმართავს და რაზმავს მშრომელთა კოლექტივს საწარმოო საქმიანობის მაღალი მიჯნების დასაძლევად, როგორც წესი, შედეგიც არ აყოვნებს ხოლმე. მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ თელეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელმაც შარშანდელთან შედარებით რძისა და ხორცის მიყიდვა შესაბამისად 100 და 26 ტონით გაადიდა.

სულ სხვა სურათია ნორიოს მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც პირველადმა პარტორგანიზაციამ ვერა და ვერ გარდაქმნა თავისი საქმიანობა მეურნეობრიობის ახალ პირობებში, განზე გაუდგა კოლექტივის საწარმოო მუშაობასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების გადაწყვეტას. **აი, რატომ არის, რომ ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მებრძოლურობას სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში.**

თუ ვილაპარაკებთ მთავარ ამოცანებზე, რომლებიც დღეს დგას მათ წინაშე, სოფლის ყველა კომუნისტის წინაშე, — ეს გახლავთ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ორგანიზებული მოწყობა და სასოფლო-სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრება. **უნდა გავითვალისწინოთ, რომ საანგარიშო-საარჩევნო კამპანია წელს მიმდინარეობს განსაკუთრებულ დროს — ეს არის სსრ კავშირის 60 წლისთავისათვის აქტიური, ფართო მზადების პერიოდი.** და რესპუბლიკის თითოეულმა კომუნისტმა, ყოველმა მშრომელმა უნდა განსაზღვროს თავისი ადგილი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრებაში ამ სახელოვანი თარიღის ღირსეული შეხვედრისათვის გაჩაღებულ აღმშენებლობითს და შემოქმედებით მუშაობაში. ეს არის ყოველი ჩვენგანის საპატიო მოვალეობა, რომელიც ახლა, მას შემდეგ, რაც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მორიგი ვრცელი დადგენილება მიიღო საქართველოზე და ასეთი მაღალი შეფასება მისცა სსრ კავშირის 60 წლისთავისათვის ჩვენი მზადების გამოცდილებას, საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელის შინაგანი მოთხოვნილება გახდა.

აი, რატომ არის, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტთა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ საიუბილეო წლის წარმატებით დამთავრებას, ახალი რეზერვების გამოვლენას ეკონომიკის ყველა სფეროში, პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებების, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის იმ მითითებების თანამიმდევრულ განხორციელებას, რომლებიც სასურსათო პროგრამის შესრულებას ეხება.

პლენუმის მონაწილეებს სხვა დოკუმენტებთან ერთად დაურიგდათ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარე ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის ამსახველი ინფორმაცია, რომელიც მოწმობს, რომ საერთოდ სწორედ ასეთი სულისკვეთებით, სწორედ ასეთი განწყობილებით გამოირჩევა პირველადს პარტორგანიზაციებში გამართული კრებების უმრავლესობა. **სულ გამოითქვა 80 ათასზე მეტი კრიტიკული შენიშვნა და წინადადება. მათ შორის, დაახლოებით 700 — რესპუბლიკური ორგანოების მისამართით.**

ბევრი სასარგებლო წინადადება და წერილი შემოვიდა ამ დღეებში ჩვენი პლენუმის მონაწილეებისგანაც, კერძოდ, დღეს, თითქმის ყოველმა მათგანმა (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის მუშაობაში კი დაახლოებით 800 კაცი მონაწილეობს), საჭიროდ მიიჩნია გამოეთქვა აზრი, ეცნობებინა თავისი მოსაზრება განსახილველი პრობლემების არსის გამო. ეს ჩვენში უკვე წესად დამკვიდრდა, და, ვფიქრობთ, რომ პრეზიდიუმში შემოსული ყოველი ასეთი წერილი თუ ბარათი დიდად ამაღლებს ჩვენი პლენუმების მიერ შემუშავებული გადაწყვეტილებების ქმედითობას, საქმიან მიმართულებას, ხშირად გვევლინება ყურადსაღებ მაგალითად, ამდიდრებს ჩვენს შემოქმედებითს გამოცდილებას.

უნდა ითქვას, ამხანაგებო, რომ რესპუბლიკის სოფლის მშრომელთა წინაშე ფრიად რთული ამოცანები დგას. მაინც, რა განსაცდელის გადატანა არ მოუხდათ მათ ამ წელიწადს: ძნელი ზამთარი, შემდეგ კოკისპირული წვიმები და გაზაფხულის მოულოდნელი სუსხი, მერე კი არნახული სეტყვა. მაგრამ ბუნებამ ეს განსაცდელიც არ გვაკმარა — ყურძნისა და სხვა კულტურების მოსავლის აღების წინ სეტყვა გამეორდა მარნეულის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის და სხვა რაიონებში. დასავლეთ საქართველოში ახლაც გრძელდება ძლიერი წვიმები, მთაში კი უკვე ოქტომბრის დამდეგს მოთოვა.

აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის მშრომელების, მეურნეობებისა და საწარმოების სპეციალისტებისა და ხელმძღვანელების, მეტი წილი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ძირითადად გაართვეს თავი ამ სიძნელეებს, გადალახეს ისინი, მინიმალური დანაკარგების ფასად, **და მთლიანად რესპუბლიკა ასრულებს ხუთწლედის მეორე წლის დავალებებს.** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა უღრმეს და გულწრფელ მადლობას მოახსენებენ ყველას, ვინც მოიყვანა, შეინარჩუნა, აიღო, გადაზიდა და გადაამუშავა 1982 წლის ჭირნახული.

ყველაზე მაღალ შეფასებას, როგორც ყოველთვის, იმსახურებენ ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები, რომლებმაც პლენუმის წინ უპატაკეს სამშობლოს 535 ათასი ტონა ჩაის ფოთლის დამზადება. ეს არის ნამდვილი შრომითი გმირობა, სულ ორი თვის წინათ ხომ ბევრს ეჭვიც კი ეპარებოდა, რომ ვალდებულებანი შესრულდებოდა. მაგრამ ჩვენმა მეჩაიეებმა გააბათილეს ყოველგვარი პროგნოზი და დაამტკიცეს, რომ მაღალ ორგანიზებულობას და ძლიერ სულისკვეთებას შეუძლია დაძლიოს ნებისმიერი სიძნელე, დალაშქროს ნებისმიერი მიჯნა!

ჩვენ საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ მეჩაიეთა წარმატებებში უდიდესი როლი ეკუთვნის ჩვენს სახელოვან ახალგაზრდობას. გვინდა მადლობა მოვახსენოთ ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდებს იმისათვის, რომ, როცა ძალიან გაგვიჭირდა, როცა საფრთხე შეექმნა თვით გეგმების შესრულებას, მთელი რესპუბლიკის სიჭაბუკე აფხაზეთის ახალგაზრდობის მოწოდებით დაირაზმა და ჩაება პატრიოტულ ლაშქრობაში დიდი ჩაისათვის.

დღეს ყველაზე წრფელი, გულითადი მადლიერების სიტყვებით მივმართავთ ჩვენს სტუდენტებსა და მოსწავლეებს, უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლებსა და საშუალო სკოლების პედაგოგებს, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების აღმზრდელებს!

ჩვენ განსაკუთრებულ მადლობას ვუძღვნით საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, განათლების სამინისტროს, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, ყველა კომკავშირულსა და პიონერულ ორგანიზაციას!

გვინდა უდიდესი მადლობა გითხრათ მთელი ჩვენი რესპუბლიკის სახელით, მთელი ჩვენი ერის სახელით!

საუცხოოდ გაისარჯნენ ჩაის მრეწველობის მშრომელები. თავდადებით შრომობდნენ სხვა დარგების მუშაკებიც. შესრულებულია აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა, უკვე მიუახლოვდნენ სანუკვარ მიჯნას მხვნელ-მთესველები და მეკარტოფილეები. მნიშვნელოვნად უსწრებენ შარშანდელ ტემპს მეხილეები და მებოსტნეები. ეჭვი არ გვეპარება, რომ ისინი შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს. დაიწყო შაქრის ჭარხლის დამზადება. შესრულებულია მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის ცხრა თვის გეგმა. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ხილბოსტნეულის პროდუქციის დაბინავება ზამთრისათვის შესანახად. ერთი სიტყვით, როგორც წინასწარმა პროგნოზებმა გვიჩვენეს, **დიდი სიძნელეების მიუხედავად, რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების დამზადების გეგმები, ყურძნის გარდა, პირნათლად შესრულდება!**

რაც შეეხება მევენახეებს, მათ ამთავითვე უნდა იფიქრონ იმაზე, თუ როგორ აინაზღაურონ დანაკლისი, რათა შემდეგ მიაღწიონ ხუთწლიანი გეგმით დასახულ მიჯნებს.

მიმდინარე წელს ჩვენ ამოცანად დავისახეთ მივაღწიოთ საერთო-საკავშირო ფონდში სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაგზავნის გეგმის უცილობელ შესრულებას. ეს, ამხანაგებო, ჩვენი წმიდათაწმიდა მოვალეობაა ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის წინაშე, ეს ჩვენი ინტერნაციონალური ვალია სხვა რესპუბლიკების წინაშე. მეკარტოფილეებმა და მებოსტნეებმა თავიანთი პირობა უკვე შეასრულეს. ახლა ჯერი მეხილეებსა და მეციტრუსეებზეა. ეჭვი არ გვეპარება, რომ ისინიც ასევე პირნათლად გაართმევენ თავს თავიანთ ვალდებულებებს.

შემოდგომა იწურება, სოფლის მშრომელებს კი საზრუნავი არ ელევათ. წინ კვლავ ძნელი ზამთარია. და მისთვის უნდა ემზადონ მოსავლის აღების ტემპის შეუნელებლად. **ემზადონ მომავალი წლისათვის და წარმატებით დაამთავრონ მიმდინარე წელი — ეს ახლა საბჭოთა საქართველოს ყველა კომუნისტის, ყველა მშრომელის საბრძოლო პროგრამაა.**

მთავარია ხელიდან არ გავუშვათ არც ერთი დარიანი დღე, მაქსიმალურად დავაჩქაროთ ხილის, ყურძნის, ბოსტნეულის, სიმინდის, სოიის, ეთერზეთოვანი კულტურების მოსავლის აღება და დამზადება. ჯერ ყველგან არ დამთავრებულა საშემოდგომო კულტურების თესვა, ვადები კი უკვე იწურება. ამან შეიძლება ძალი დაასვას საგაისო მოსავალს, და ამიტომ საჭიროა მკვეთრად დავაჩქაროთ საშემოდგომო, აგრეთვე შუალედური კულტურების თესვა.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამჯერადაც პირუტყვის რთული ზამთრობა მოგვიწევს, ბევრ რაიონსა და მეურნეობაში კი სადგომები ჯერ არ მოუმზადებიათ. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ამთავითვე უნდა გადაწყვიტოს ფერმების შესაკეთებლად საჭირო სამშენი მასალების გამოყოფის საკითხი. ხოლო ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების მოვალეობაა კარგად გაიაზრონ ფერმების კადრებით დაკომპლექტების საკითხები. ხოლო თუ დასჭირდათ, შეუძლიათ შესაბამისი წინადადებანი შემოიტანონ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განსახილველად.

ასევე ყოველმხრივ უნდა ვიზრუნოთ საკვების საიმედო მარაგის შექმნისათვის. წელს მთაში უხვად არის თივა, ჩალა. მთლიანად რესპუბლიკაში უხეში საკვების ბალანსი მეორე ნახევარწლეულში გაცილებით უკეთესი გამოვიდის, ვიდრე მოველოდით, რამაც, ეტყობა, ცოტა არ იყოს, დაამშვიდა ზოგიერთი ამხანაგი. ეს შეუწყნარებელია. წინ ჯერ კიდევ ბევრი სიძნელე მოგველის, და ყველაფერი უნდა ვიღონოთ საიმისოდ, რომ სრულად უზრუნველვყოთ ხარისხოვანი საკვებით მეცხოველეობის ფერმები და კომპლექსები, მთელი ჩვენი სულადობა.

მაღალი მომთხოვნელობა, ინიციატივიანობა, მობილიზება — ეს ძვირფასი თვისებები საჭიროა ახლა ყოველგვარ საქმეში, ყველა დარგში, თითოეულ საწარმოში, ყოველ მეურნეობაში, თითოეულ სამუშაო ადგილზე. უაღრესად საჭიროდ გვესახება ის, რომ ცენტრალური კომიტეტის ყველა მდივანი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბიუროს ყველა წევრი სისტემატურად, ლამის ყოველდღიურად ისმენდნენ ანგარიშებს თავიანთი კომპლექსების შესახებ, იცოდნენ, რა მდგომარეობა იქმნება იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებსაც ისინი უძღვებიან, ნიადაგ ეყვნენ იმის კურსში, თუ როგორ ყალიბდება ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლები, უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ დამატებითი რეზერვების ძიებას. ეს მუშაობა თანამიმდევრულად უნდა ვაწარმოოთ როგორც ტერიტორიული თვალსაზრისით, — რაიონების, რეგიონების მიხედვით, სადაც ფუნქციონირებენ სპეციალურად შექმნილი ჯგუფები და სპეციალური კომისიები წარმოების დამატებითი რეზერვების ბრუნვაში მოსაქცევად, ისე აღმავალი ხაზით — საკურირებელი სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით. დღეს გვმართებს ყველაზე მაღალ დონეზე მივიღოთ ენერგიული ზომები ხუთწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრების უზრუნველსაყოფად.

ჩვენ ვთხოვთ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. დ. ლ. ქართველიშვილს ყოველნაირად გააქტიუროს მინისტრთა საბჭოს და, რა თქმა უნდა, მთავარმომარაგების, ყველა სხვა რესპუბლიკური ორგანოს მუშაობა რესპუბლიკის საწარმო-ორგანიზაციათა შეუფერხებელი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის.

ჩვენ მაღალი მაჩვენებლებით უნდა დავამთავროთ მიმდინარე წელი. სხვა გზა, ამხანაგებო, არა გვაქვს. ჩვენ არ შეგვიძლია ვიცხოვროთ და ვიშრომოთ სხვანაირად. მიიღო რა დადგენილება „სსრ კავშირის 60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ", პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ საბჭოთა საქართველოს მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნაცადი რაზმის — საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 60 წლისთავს აღნიშნავენ ახალი წარმატებებით საიუბილეო წლისა და მთლიანად ხუთწლედის ვალდებულებათა შესრულებაში, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელებაში.

ნება მიბოძეთ, თქვენი სახელით მტკიცედ აღვუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მის მეთაურს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომ **საბჭოთა საქართველო პირნათლად შეასრულებს თავის საიუბილეო სოციალისტურ ვალდებულებებს. და ამის საწინდარია ჩვენი ხალხის უშრეტი ენთუზიაზმი, მძლავრი შემოქმედებითი ძალები!**

ჩვენ კვლავაც თანამიმდევრულად შევასხამთ ხორცს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, იმიტომ რომ ლენინური პარტია გულდაჯერებით გვიკვალავს ახალ გამარჯვებათა, ახალ მიღწევათა გზას!

გარჯა დაუფასდათ!

თითქმის ერთდროულად მივიღეთ ორი სასიხარულო ცნობა: ჩვენს ქვეყანაში კალათბურთის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისა და 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სხვა სპორტსმენებთან და სპეციალისტებთან ერთად დაჯილდოვდა თბილისის დინამოელი კალათბურთელი ნიკოლოზ დერიუგინი. მან მიიღო მედალი „შრომითი წარჩინებისათვის" და მასვე მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ იგი ერთ-ერთი იმათგანი იყო, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა წლევანდელ კოლუმბიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ამერიკელებთან გადამწყვეტი მატჩის გამარჯვებით დამთავრებაში.

ვულოცავთ ჩვენი რესპუბლიკის სახელოვან კალათბურთელს მისი გარჯისა და ოსტატობის ღირსეულად დაფასებას და ვუსურვებთ მას ახალ წარმატებას. **ასევე გულითადად ვულოცავთ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდების მინიჭებას თბილისის „დინამოს" უფროს მწვრთნელს ლევან მოსეშვილს, რომელსაც გარკვეული წვლილი მიუძღვის თბილისის დინამოელთა დაოსტატებაში, ახლა კი იმისთვის იღვწის, რომ ჩვენმა კალათბურთელთა კოლექტივმა ძველი სახელი და დიდება დაიბრუნოს.**

კალათბურთის ფართან

ტალინსა და ვილნიუსში დაიწყო უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ორმოცდამეთე საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის შეხვედრები.

ვილნიუსში მოასპარეზეთა პირველი დღის მატჩები ასე დამთავრდა: ცსკა-ტაშკენტის „უნივერსიტეტი" — 100:74, კაუნასის „ჟალგირისი"-მინსკის რტი — 88:82, ლენინგრადის „სპარტაკი"-ვილნიუსის „სტატიბა"—80:68.

ტალინში, სადაც თბილისის „დინამო" გამოდის, შეჯიბრების პირველ დღეს მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს თბილისელებმა. მათ მეტად ძნელ ბრძოლაში დაამარცხეს კიევის არმიელთა კოლექტივი ანგარიშით 93:92 (49:46). ამავე დღეს მოსკოვის „დინამომ" მოუგო მოსკოვის „ალმაზს" — 103:85, ხოლო რიგის ვეფმა ტალინის „კალევს" — 80:76.

მეორე დღეს თბილისის დინამოელები შეხვდნენ თავიანთ მოსკოველ თანაკლუბელებს. გათამაშების ჯერ კიდევ დაუმარცხებელმა ლიდერმა — მოსკოვის „დინამომ" ამჯერადაც ძლიერად ითამაშა და მატჩი მოიგო ანგარიშით 107:70. კიევის „სტროიტელმა" ამ დღეს მოუგო „ალმაზს" — 90:78.

ფეხბურთის ამბები

უეფას თასი

გუშინ მოსკოვში ადგილობრივმა „სპარტაკმა" მიიღო ჰოლანდიელ ფეხბურთელთა საკლუბო გუნდი „ჰაარლემი". ეს გახლდათ უეფას თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური შეხვედრა. მატჩი მოიგეს სპარტაკელებმა ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს გავრილოვმა და შვეცოვმა.

უმაღლესი ლიგა

გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩები. დნეპროპეტროვსკში „დნეპრმა" უმასპინძლა ცსკას და დაამარცხა ანგარიშით 1:0.

ბაქოში ადგილობრივი „ნეფთჩისა" და თბილისის „დინამოს" შეხვედრა დასრულდა ფრედ — 0:0. მიუხედავად იმისა, რომ ორივე კოლექტივის სპორტსმენებმა არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს, ვერცერთმა მხარემ ვერ შეძლო კარის აღება. ეს იყო მართლაც გამოუყენებელ შესაძლებლობათა მატჩი. უნდა ითქვას ისიც, რომ ბაქოელთათვის მოპოვებული ეს ერთი ქულა უფრო მნიშვნელოვანი შენაძენია, ვინემ თბილისელთათვის. ბაქოელები ხომ გათამაშების ცხრილის სახიფათო ზონაში იმყოფებიან და ყოველი მოპოვებული ქულა მათ უმაღლეს ლიგაში დარჩენის გარკვეულ შანსებს უზრდის. რაც შეეხებათ თბილისელებს, მათ ყოველი დაკარგული ქულა საპრიზო ადგილის მიღმა დარჩენის საშიშროებას უქმნის. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენი დინამოელები ძალღონეს არ დაზოგავენ იმისათვის, რათა საბოლოოდ მაინც რჩეულთა შორის დაიკავონ ადგილი.

თბილისის „დინამომ" ამჯერად ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მჭედლიძე, ჰაიკიძე, ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, ანდღულაძე, სვანაძე, სულაქველიძე, ჭოხაძე, ცავა, შენგელია.

ტელევიზია

21 ოქტომბერი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.45 — გამოგვეხმაურეთ, მებუკენო! 10.30 — მხატვრული ტელეფილმი „მადლობა ყველას!..". 12.00 — სსრ კავშირის დიდი თეატრის ბალეტის მსახიობთა კონცერტი. 12.40 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმი „მე მეათე ვარ". 16.20 — რუსული ენა. 16.50 — „ბელორუსული სურათები". 17.50 — მოსწავლეთა შეხვედრა სსრ კავშირის გეოლოგიის მინისტრის მოადგილესთან ვ. ა. იარმოლიუკთან. 18.35 — მღერის ა. ვოროშილო. 19.00 — ყოველ ნახატში მზეა. 19.15 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — საუბარი ალკოჰოლიზმზე. 20.30 — ეკრანზეა კინოკომედია „სცენაზე". 22.00 „ვრემია". 22.35 — „ჯარისკაცური მემუარები". პირველი ფილმი „ტანკების გამანადგურებელი". დოკუმენტური ტელეფილმი. 23.40 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 და 12.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 9.35 და 10.35 — ზოგადი ბიოლოგია. მეათე კლასი. 10.05 და 13.40 — ესპანური ენა. 11.05 — ჯორჯ გორდონ ბაირონი. ცხოვრებისა და შემოქმედების ფურცლები. 13.35 და 12.35 — ზოოლოგია. მეშვიდე კლასი. 12.00 — დილის სკოლა. 13.10 — ისტორია. მეოთხე კლასი. 14.10 — მსახიობის ხელოვნება. 15.10 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „სტაჟიორი". 16.40 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — „მნელია თუ არა მწყემსობა?". ტელენარკვევი. 19.35 — „სალუტ, პიონერიავ!". 20.30 — დოკუმენტური ტელეფილმი „ხუთი პორტრეტი ქალაქის ჩარჩოში" (ქ. გორკი). 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — ურენგოი-უჟგოროდის გაზსადენი. 21.35 — დოკუმენტური ტელეფილმი „ჩემი მშობლიური მესხეთი". 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ფილმი „ზეგინდელი განრიგი".

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „დირექტორი". 10.00 — „მოამბე". 10.15 — კინონარკვევი. 10.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „ფერთა სიმფონია". 11.20 — მეხუთეკლასელთათვის მათემატიკა. 11.50 — მხატვრული ფილმი — „უბილეთო მგზავრი ქალი". 13.00 — ბიოლოგიის ტელეკურსი. 17.00 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 17.30 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა" — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.00 — მოსწავლეთათვის — „მზის იალქანი". 18.45 — „რედაქციაში წერილი მოვიდა" — „ექო". 19.15 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი" — „ადამიანის სულიერი სამყარო". (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — ახალგაზრდობისათვის — „სტუმრად მეტეხის თეატრში". 21.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი მშობლიური მესხეთი" (მ.). 22.00 — „ვრემია". 22.35 — „ქართული კინოს ისტორიიდან". მხატვრული ფილმი „ქეთო და კოტე".

მეორე პროგრამა. 17.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იყავ ბედნიერი". 17.25 — განცხადებები. 17.35 — მოსწავლეთათვის — სსრკ ისტორია. 18.15 — მულტიპლიკაციური ფილმი „ასეთი საქმეები". 18.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „ექსპერიმენტი". 19.50 — მხატვრული ფილმი „მზარეული და მომღერალი ქალი".

რედაქტორის მოადგილე
გ. ნაჭყებია.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 09462 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20